

შინაური საქმეები.

✎ მოკელ-კვირული ბაზეთი ✎

№ 28-29.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 22-29 ივლისი 1912 წელი

ყოველ-კვირულ ვაჭვი

შინაური საქმეებზე

სხლის მოწერა მიიღება (რედაქციას, ქ. ქუთაისში საბუროთაღლა—კაზაკოვის ქუჩის სივლიანო კომპლექსთან სომხის ბაზარში, სომხიანანდის ქუჩის მდებარეობა. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

ვაჭვითის ფასი:

წლიური ფასი:	სახ. წლით:	სამე თვით:	ერთი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულსა შემოტანა წლიურ სხლის მოწერათათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თაიფიან 2 მ. და 1 ივისს 2 მ. განსაკუთრების ფასი წინა გვერდზე პეტრით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ. ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. საკითხი სულის უკვდავებაზე [გაგრძელება]—ფი—ჰე სი—ძე-სი; 2. გზა ქრისტიანი—მლ. იოანე ლუკიანოვისა; 3. რა დანაშაულობა მიუძღვის ქართველ დევნულ ეპისკოპოსებს—დურნოვოსი; 4. ზნეობა (ივანე გომართელის წერილის გამო)—სეფეველიისა; 5. ბედია; 6. სოფელი და ინტელიგენცია—მლ. ნესტორ აბესაძისა; 7. რა ხდება გურიაში?—ხელოსა; 8. წამება წმიდისა მღვდელმთაფლისა ვლასისა; 9. ლოთობა—მლ. კ. ანთაძისა; 10. დავით ეპისკოპოსის ჩამობრძანება პიატიგორსკში—ბათიაშვილისა; 11. პროფესორი ალექსანდრე სოლომონისძე ხახანაშვილი [ნეკროლოგი].

საკითხი სულის უკვდავებაზე¹⁾.

თარგმანი.
გაგრძელება.

ერთს თვის დამტკიცებას სულის უკვდავებისას **პლატონი** ამყარებს თავისებურ გნოსეოლოგიურ თეორიაზე (anamnisisa.) პლატონის აზრით მთელი ჩვენი ცოდნა იდეათა მოგონებაზე ეყრდნობა. საფუძვლად უდევს მოგონება იდეათა, რომელთაც ჩვენ ვკერტვით უხილავ ქვეყანაში გრძნობათ გრძნებათა ადრე. აქედან პლატონს ის გამოჰყავდა, რომ ჩვენი სული სხეულში არსებობამდის უფრო ადრე არსებობდა, — მაშასადამე, მისი არსებობა არ არის სხეულისგან დამოკიდებული და ამიტომ სხეულის გახრწნის შემდეგ მისი არსებობა ხელ-

¹⁾ იხ. „შინ. საქ.“ № 26-27.



ახლა ვაგრძელებდა. ამ თეორიაში ბევრი ორიგინალურია. მე მგონია, რომ ეს თეორია ნებისა აძლევს მოწაფეებს ქედ-მადლად მოეპყრან თავის მასწავლებლებს. ამ თეორიის ღვაწლსაზრისით მასწავლებელი მოაგონებს მოწაფეს მხოლოდ იმას, რაც მან ოდესღაც იცოდა და ამასთან არ შეუძლია კი სრული სინამდვილით მოაგონოს. ამიტომ მოწაფე, რომელიც მასწავლებელს ყურს უგდებს, ჰფიქრობს: „მართლად გადმომცემს მე ის იმას, რაიცა მე ოდესღაც ვიცოდი“? ეს თეორია ჩემის აზრით არ არის მართალი. მისი კრიტიკულად განხილვა დაგვინახებს, რომ ჩვენმა სულმა დაიწყო ცხოვრება ჩვენს სხეულთან ერთად, ჩვენს სხეულზე ადრე არ არსებობდა. თუ ჩვენ დავეთანხმეთ პლატონს იმ აზრში, რომ სული არაფერს არ ჰკარგავს იმისაგან, რაც მან განიცადა, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ამ სულმა როდისმე რამე უნდა მოიგონოს თვისი ცხოვრებიდან, მოიგონოს, როგორც დაიწყებული და არა როგორც რაიმე ახალი ისე მიიღოს, — ხანდახან ისეთი უნდა მოიგონოს, რომელსაც არ ჰქონდეს პირდაპირი კავშირი თვალწინ მდებარე სინამდვილესთან და აღემატებოდეს ამ სინამდვილეს. მაგრამ ეს ძლივს თუ ჰხდება ასე. თავის ცოდნას სული იძენს გარემო სინამდვილისაგან, გამოჰყავს დასკვნა, რომელიც ამ სინამდვილეს საზღვარს სცილდება, მაგრამ არასოდეს არ გადახტება ამ საზღვარს. ადამიანის სულს თან დაყოლილი განუსაზღვრელი ლტოლვა აქვს რაღაც უმაღლესისამდე; მაგრამ ეს ლტოლვა ბუნდოვან სივრცისაკენ მიპყრობილია და არა განვლილ წარსულისაკენ; ეს ლტოლვა ზეგარდამო შთაბეჭდილია.

სული მთელი ცხოვრების განმავლობაში პასიურად ბევრ წარმოდგენებს ღებულობს, ყველა ამას ინახავს ის და არაფერი მისგან არ იკარგება. მაგრამ პასიურს გარდა, როგორც ზვეითა ესთქვით, სულში არის აქტიური მხარეც; იგი შეიცავს ძალებს, რომლებიც, პირველად, თვით ვითარდებიან, მეორედ, მოქმედებენ გარედან მიღებულ მასალაზე. სულს თვით გამოარკვევის ნიჭი აქვს. ჩვენთვის არ არის სა-

ჭირო ვიმსჯელოთ აქ ანუ გავიმეოროთ პსიხოლოგიის სჯა სულის ნიჭის შესახებ. ჩვენთვის აი რა არის უფრო საჭირო. სულის არსებაზე ზოგიერთ სწავლის განხილვამ დაგვანახა, რომ ყველა ასეთი სწავლა წინააღმდეგია პსიხოლოგიის და საზოგადოდ მეცნიერების პრინციპების. ამიტომ ჩვენ მივიღეთ ერთად ერთი სწავლა, რომელიც ეხლა მოგვყავს სულის შესახებ, რომ სული არის განუყოფელი ერთეული. მაგრამ აი რა სიმწელე გვიდგება წინ ეხლა. თუ ჩვენი თეორიის კანონით სულს არ შეუძლია ნაწილებად დაყოფა, მაშ არც ცვალება შეუძლია, მის ძალთა გამრავლება არ შეიძლება. ძალთა განდიდება ორგანიზმში ჰხდება მასალის შემატებით, ესე იგი ყოველი გადიდება შედეგია რომელიმე ორგანიზმისა, რომელსაც მაგალ. აქვს ძალა A სხვა ახალ ძალასთან B-ს შეერთებისა. თუ განდიდება საზოგადოდ წარმოსდგება ამ კანონითა ეს იმას ნიშნავს, რომ სულის ძალთა განდიდება ჰხდება ამ ძალებზე რომელიმე ახალ ენერჯის მიმატებით. მაგრამ ეს თუ ასეა, სულ-როგორც სხანს, არ შეუძლია იყოს განუყოფელ ერთეულად; ვინაიდან შეიძლება მისგან გამოჰყოს ის, რაც გარედან შემოტანილია. თუ სული, მაგ. A ინტესიობიდან ამოღდა A² ინტესიობამდე, შეიძლება დაუშვათ, რომ A²-დან მას შეუძლია დაიწიოს O-დე. შემდეგ სწავლა სულზე, როგორც განკერძოებულ ერთეულზე, იწვევს ყველა იმ გაუგებრობას, რომელსაც ძველადგანვე იწვევდა საკითხი ურთიერთ დამოკიდებულებაზე. გვეკითხებიან: როგორ შეუძლია სულს კავშირი დაიკავოს გარემო ქვეყანასთან, დასასრულის შექონს სულებთან და აბსოლუტურ სულთან? ამ ურთიერთ დამოკიდებულების ასახსნელად გვითითებენ მიემართოთ ისეთ მოწინააღმდეგე მოსაზრებებს, როგორიცაა სივრცეზე მოქმედება.

განვიხილოთ ასეთი წინააღმდეგობა. სულის შესახებ სწავლის გამოსარკვევად, როგორც განუყოფელ და მაინც ცვალებად და გაუკეთესების ნიჭის მექონ ერთეულზე, ჩვენ ძალიან დაგვეზარება სულის ორგანიზმთან შედარება. დაიწყოთ ადამიანის სხეულის გან-

ხილვა. ეს ორგანიზმი თვის ცხოვრებაში სამს ხანას განიცდის: პირველ ხანაში ის ვითარდება, გარედან შთაბეჭდილებას მეტს ღებულობს, ვინემ მას აკლდება; მეორე ხანაში თანასწორობა ემჩნევა; მესამე ხანაში—გამოყოფა შემოტანაზე მეტი ჰხდება, ამის შედეგი კი ადამიანის სიკვდილია. ამნაირ სიკვდილს ბუნებრივი სიკვდილი ჰქვია, მაგრამ ორგანიზმს შეუძლია დაიშალოს ძალ-დატანებით სიკვდილისაგან. ეს-ლა მოვიქცეთ სულისადმი. სული ისეთი რიგის ორგანიზმია, რომ ზემოდ ნათქვამ კანონს არ ემორჩილება. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სულის ძალ-დატანებითი სიკვდილი, საჭიროა ბუნებაში ისეთ ძალთა არსებობა, რომელთაც სულის შემაერთებელ სხვა-და-სხვა ძალთა კავშირის დარღვევა შეეძლოთ. მაგრამ, შეიძლება, ასეთი ძალა არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლა არის.

დღემიწაზე ჩვენ შევხვდებით ისეთ სხეულს, რომელიც რთულია, მაგრამ მისი დაყოფა კი არ შეიძლება (ასეთია ლითონი), ვინაიდან ამის დასაყოფი ენერგია არ არის დედა-მიწაზე. სულის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისეთი ენერგია, რომელსაც შეეძლოს სულის დარღვევა, არ მოიპოვება მთელს მსოფლიოში. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ორგანიზმი ბუნებრივი კანონის ძალით უნდა მოკვდეს, ეს მოსაზრება თავისთავად დიდ დავას იწვევს. არიან ისეთნი ფიზიოლოგები, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ სიკვდილი არ არის ბუნებრივი ხვედრი ყველა ორგანიზმებისა. ზოგიერთნი ჰფიქრობენ, რომ ბევრი მცენარეთაგანი წინადავე საუკუნო განვითარებისათვისა დანიშნული, რაოდენობისათვის მაინც და კვდება მხოლოდ შემთხვევითთა მიზეზთა გავლენით. ბევრ ორგანიზმების შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი, დაასრულებენ რა განვითარების ხანას, ბუნებრივის წესით ერთ მდგომარეობაში უნდა დარჩენ. რომ ორგანიზმი აუცილებლად უნდა მოკვდეს, ეს ჯერ-ჯერობით არ არის დამტკიცებული; ამ აუცილებლობის დამტკიცებამ ბევრ სხვადასხვა გიპოტეზების შექმნა გამოიწვია. ვიგარძელებთ რა სულის ორგანიზმთან შედარე-

ბას, ჩვენ შეგვიძლია დაუშვათ, რომ სული ისეთი ორგანიზმია, რომელსაც საუკუნოდ განვითარების თვისება აქვს ანუ მაინც არასოდეს არ შეუძლია ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, როცა ის თან-და-თან დაირღვევა და მოკვდება.

ძველი შედარება სულის სინათლის მზგავს ინტენსიურ სიდიდესთან, რომელსაც (სინათლეს) შეუძლიან ჯერ ანათოს და ბოლოს მთლად გაჰქრეს, წარმატებით შეიძლება მივმართოთ სულის უკვდავების შესახებ თეორიის დასაცველად. შემეცნებას სინათლეს ადარებენ. განვიხილოთ ასეთი შედარება. სინათლე ეთერის მოძრაობის შედეგია, ან საზოგადოთ შედეგი რომელიმე ძალთა მოქმედებისა, — სინათლის ინტენსივობა პირდაპირ პროპორციონალურია ამ ძალთა რაოდენობასთან. ასეთ ძალთა გაქრობა შეუძლებელია, მაგრამ ამ ძალთა შეერთების წყებისაგან გამოსვლა იწვევს სინათლის გაქრობას. სულის შესახებ ჩვენ კი ვამჩნევთ, რომ ის ძალთა ფუნქცია არ არის, ისეთ ძალთა, რომელთაც შეუძლიათ ახლად შეერთდნენ და აგრეთვე დაიშალონ; სული ისეთი ერთეულია, რომ არ შეუძლია გაიყოს, არ შეუძლია გაიყოს თეორეტულად (სკადეთ გრძობის აზრისაგან გამოყოფა ანუ სურვილისაგან); პრაქტიკულადაც შეუძლებელია ისეთ ძალთა წარმოდგენა, რომელთა გაყოფა შეიძლებოდეს და ამიტომ არც შეიძლება მოისპოს. შემეცნების სიცხადის აღმატება ანუ დაკლება, როგორც ზევითა ვსთქვით, სულის ძალთა განდიდების ანუ დასუსტებისაგან კი არ არის დამოკიდებული, არამედ ამისგან, რომ რომელიმე მომენტის დროს შემეცნება მეტს წარმოდგენებს ღებულობს, ზოგჯერ კი ნაკლებსაც. ამასთან სიმდიდრის და ძალთა ჯამი, რომელთაც ჰქვია სული, მაინც არ კლებულობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ: რომელ minimum-ამდასაც არ უნდა მიაღწიოს ხანდახან შექმნების საცხადემ, ეს მაინც ამას არ ამტკიცებს, რომ შეიძლება შექმნება სრულად გაქრეს (სულა არაფრად იქცეს). ასეთ შექმნებას მდგომარეობას ჩვენ უნდა შევხვდეთ, როგორც დროებით და შემთხვევით მოვლენას და საფუძვე-

ლა გვაქვს ვსოქვათ, რამ ეველა გარემო და-
ბრკალეებათა ჩამოშორებით შექმნების სიფ-
ხადე maximum-ამდის მიაღწევს.

ამნაირად, თუ სწავლას სულის ინდივიდუ-
ალობაზე არ ეწინააღმდეგება სულიერ ცხოვ-
რების ცვალებადობა, როცა სული სხეულთან
დაკავშირებულია და აგრეთვე არც სულის გან-
ვითარების ფაქტი, აქედან იბადება საკითხი:
როგორ შეიძლება ავხსნათ სულის გარეშე ქვე-
ყანასთან ურთიერთობა, სხეულიდან დაწყებუ-
ლი, რომელიც მასთან (სულთან) დაკავშირე-
ბულია, თუ სული რაღაც განკერძოებული
რამ არის? ამ საკითხს სხვადასხვა თეორიების
შემწეობით ხსნიდნენ. ჩვენთვის გაუგებარია,
რატომ ადგენდნენ ასეთ თეორიებს და რატომ
ასეთ საძნელო საქმედ ითვლებოდა მათი შედ-
გენა. იმიტომ კი არ ვიქვიანობთ, რომ ამ სა-
კითხს ადვილ გამოსარკვევად ვსთვლიდეთ (ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გამორკვევა შეუ-
ძლებელია), მაგრამ იმიტომ, რომ თეორიების
შემდგენელნი, ერთი სიტყვით, ვერ ამჩნევდნენ
რაში მდგომარეობდა საკითხის სიძნელე, ვერ
ამჩნევდნენ იმასაც, რომ ასეთ საკითხს სთვლი-
დნენ ახსნილად, რომელიც მემრე წარმოუ-
დგებოდათ ძნელ და თითქმის აუხსნელ რამედ.
აი რაშია საქმე. სულს უძველეს დროიდან გან-
მარტავდნენ ხოლმე რომელიმე ძალად ანუ ძალ-
თა შეერთებულებად; დიდ ხანს მეცნიერნი მა-
ტერიალიზმს ხედავდნენ არა პასიურს, არამედ
მხილვას რომელიმე უხილავ ძალისას. მაგრამ
რა არის ძალა? ეს ისეთი დასაწყისია, რომელ-
საც სხვა სუბიექტებზე მოქმედების თვისება
აქვს. ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ყოველივე ძა-
ლა არის მხილვა ორ ნაირ არსისა: აქტიურის,
რომელიც მოქმედებს, და პასიურის, რომელიც
მოქმედებათა მიმღებია. საფუძველი გვაქვს ვი-
ფიქროთ, რომ თითოეულ არსს შეუძლიან მიი-
ღოს მოქმედება მხოლოდ ზოგიერთ არსთაგან
და იმოქმედოს აგრეთვე ზოგიერთ არსთა ზედა.
სუყველა ეს შეგნებულად თუ შეუგნებლად,
სრულიად ანუ ნაწილად ყოველთვის იგულის-
ხმებოდა ტერმინ „ძალის“ წარმოთქმის დროს.
სიტყვები: „ურთიერთ მოქმედნი ძალნი“ თა-

ვის თავად პლეონაზმს წარმოადგენს, იმიტომ
რომ ცნება „ძალა“ ამ შემთხვევაში ეთანასწო-
რება ცნებას „ურთიერთ მოქმედნი“. მაგრამ ეს
თუ ასეა, მაშ სულის და სხეულის ურთიერთ
მოქმედობის საკითხი უნდა გადაიქცეს სულ
სხვა საკითხად—საკითხად ძალის არსებისა, ანუ
უკეთ იმ დასაწყისთა არსებისა, რომელთა ერთ
მხილვებათაგანს ძალა შეადგენს. როცა შეუდ-
გებოდნენ სულის და სხეულის ურთიერთობის
ახსნას, ჩვეულებრივად ამ საკითხს ახსნილად
წარმოიდგენდნენ ხოლმე. მაგრამ ეს ფაქტი არაა
ახსნილი და, რავედნადაც შეიძლება წინადავე
ვსთქვათ, არც შესაძლებელია მისი ახსნა. ჩვენ
უნდა შეურიგდეთ ამას და დავრწმუნდეთ, რომ
ჩვენთვის შეუძლებელია ახსნა ერთი ძალის მე-
ორზე მოქმედებისა; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია
შვეისწავლოთ გარეგნული მხარე ამ ურთიერთ
მოქმედებათა, ავხსნათ და სხვადასხვა ნაირი
დასკვნანი გამოვიყვანოთ. ამ ურთიერთ მოქმე-
დებათა კანონები ისწავლება ხოლმე მატერიის
და სულის შესახებ მეცნიერების შემწეობით და
აგრეთვე პსიხო-ფიზიკურ მეცნიერებითაც. ქიმიკ
გვასწავლის, რომ ზოგიერთ ნივთიერებას შეუ-
ძლიან მოქმედება ამა თუ იმ სხეულზე, ზოგი-
ერთს კი არა: მაგალ., აზოტის ხიმყავე ოქ-
როს არ ჰხსნის, მაგრამ აზოტის და მარილის
სიმყავის ანარევი კი ჰხსნის მას. სულის შესა-
ხებ მეცნიერებაში სწავლულობენ ერთი სულის
მეორე სულზე გავლენათა კანონებს, — გონები-
თი და ზნეობითი გავლენათა კანონებს. კიდევ,
ფსიხოფიზიოლოგია გვასწავლის ჩვენ მატერიის
და სულის ურთიერთ მოქმედებათა შესახებ.
თუ დავსვამთ საკითხს: როგორ?—ყოველგან
ბევრს გაგვაგებინებენ, მაგრამ არსად არ მო-
გვიგებენ, თუ დავსვით კითხვა: რატომ? ეს ჩვენ-
თვის გასაგებია, მაგრამ ძალიან საკვირველია,
რატომ მანდამინც სულის და მატერიის ურ-
თიერთობას იმდენ გაუგებრად ჰხდიდნენ, რომ
ან მათი ურთიერთობის შესაძლებლობაზე ჭარს
ჰყოფდნენ ანუ ამ ორ ურთიერთ მოქმედ და-
საწყისის არსებობაზე—ხან მატერიის და ხან კი
სულისა. ამ ურთიერთ მოქმედ ფაქტორის გაუ-
გებრობასწორეთ ისეთი რამეა, როგორც ატო-

მის ატომზე მოქმედების გაუგებრობა. დედამიწის ტრიალი მზის გარშემო, რომელიც მზის დედამიწაზე გავლენის შედეგია, ისეთი რამ გაუგებარია, როგორც ფაქტი იდიოტიზმისა. მაგრამ, რასაკვირველია, არავინ უარს არ ჰყოფს, რომ დედა-მიწა და მზე ორი სხვადასხვა ერთეულია, როგორც არავის არ აქვს საფუძველი უარჰყოს, რომ სული და სხეულიც ორ სხვადასხვა ერთეულს წარმოადგენს. პირველს არ აქვს მოსპობის თვისება, მაგრამ შეუძლიან სრულ იქმნას, მეორე კი აუცილებლად უნდა გაიხრწნას.

ფი—ჰე სი—ძე.

შემდეგი იქნება.

გზა ქრისტესი.

(დასასრული*)

ღარიბი, ცხოვრებაში გაწვალებული, მომეტებულად აფასებს უცებ მიღებულს მემკვიდრეობას, მინამ განებივრებული მდიდარი. აგრეთვე ქვეყნიურა ტანჯულნიც, როდესაც სინამდვილეზე გამოსდინან მთელ სიმწარეს ბოროტებისას და მთელ სიმშვენიერეს და უმაღლეს სარგებლობას სიკეთისას, — უფრო მომეტებულად დააფასებენ ზეცის ნეტარებას, მინამ მაშინ, რომ ანგელოზებისავით უცებ მიეღოთ იგი...

პირველი ადამიანების ღვთის წინააღმდეგობის საფუძვლად ჰქონდა აგრეთვე „გულისთქმა ხორცისა“ და „გულისთქმა თვალისა“... ადამიანებმა „გააღმერთეს“ გარეგანი ქვეყნიური სიკეთენი, მისცეს იმათ სული და ყოველივე თვისი აზრები. ღვთის სახიერებამ არ დააყოვნა გამოეცხადებინა ადამიანებისთვის მათი ტლანქი შეცდომა... პირველად მშვენიერი და უხრწნელი ქვეყანა აივსო უცებ სიკვდილისა და ხრწნილების სუნით... საქმელი, რომელიც ასე შეიყვარა ტლანქი სიამოვნებებით გაუმადლარმა კაცმა, თან და თან გადაიქცა სიმყარედ და სიდამპლეთ... ქალის სიტურფე და სილაშაზე — საზიზღარ ლეშად, რომელიც ცუდ სუნს ავრცელებს; მშვენიერი ტანისამოხი

*) იხ. „შინ. საქ.“ № 26. 27.

გაიფანტა მტვრად; სიმდიდრე, პატიოსნური შრომითაც-კი შეძენილი, წაირთმეოდა მოპარვით და ძალ-დატანებით; ჯანმრთელობა საშიშროებაში ვარდებოდა მრავალგვარი ავთიმყოფობებისაგან და სხვადასხვანაირი შემთხვევებისგან; სიცხე და სიცივე აწუხებდნენ ადამიანებს, და ყოველ წუთს მიაგონებდნენ მათ უგუნურებას მათი ბრმა სიყვარულისას ქვეყნის მიმართ და ქვეყნიურ ამაო და მოჩვენებითი სიკეთების-მიმართ; დედამიწამ აღარ მოსცა ნაყოფი, და ადამიანებმა გამოსცადეს შიმშილი, საჭიროება და სიღარიბე... თვით ბუნებრივმა სტიქიებმაც და ველურმა მხეცებმაც შეიძულეს ადამიანი, როგორც დამნაშავე ასეთი დამლუჯავი ცვლილებისა ბუნებაში, და მტრული განწყობილება მიიღეს მისდამი. ბოროტება, როგორც გადამღები სენი, სწრაფად ვრცელდება და ყველაფერს ეღება თავის გარშემო...

ბოროტება და მესისხლეობა მხეცებისა. ეს არის ბუნებრივი „ნაყოფი ბოროტებისა“, — და ასეთი შემეცნება წარმოადგენს შთაგონებას ღვთის მოწინააღმდეგე კაცისათვის, და მის გაფრთხილებას ბოროტების განვითარებიდან...

ყოველივე ამას ჰქონდა მიზნად გაეღვიძებინა ადამიანებში გრძობა ღრმა სინანულისა, რომელიც თან და თან უნდა გაზრდილიყო და გავრცელებულიყო; და რაც ძლიერ გაიზღებოდა სინანული, მით მომეტებულად დაუახლოვდებოდა ქვეყანას ღვთის განუსაღვრელი სახიერება და სიყვარული...

ადამიანები, რომლებიც მუდამ ახლო იყვნენ თვით ღმერთთან, დაეცნენ ეშმაკის ცთუნებით. სიმართლე ღვთისა მოითხოვდა, რომ ადამიანებს დაეძლიათ მატური თავის არსებაში, ღვთის მაცხოვრებელი ძალის შემწევნობით — თითქმის ღვთისაგან სრულის დატოვებისა მდგომარეობაში („ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რასათვის დამიტყვე მე?... ამნაირად უნდა გამართლებულიყო სიბრძნე და სახიერება ღვთისა, თავის აბსოლიუტურ სიწმინდეში და უცდომელობაში შესახებ ქვეყნიერების მიზნებისა...“

უძღვები შეილი წავიდა თავის შამის სახ-

ლიდგან „შორს ქვეყანაში“,—და მალე შესქა-
მა მთელი თავისი მამისაგან ნარგები შემკვიდ-
რება, —ყველა საუკეთესო ძალები თავის სუ-
ლისა—უგუნურ თავისუფლებაში ვნებათა და
კოდვიურ სიმოვნებათა... უფალმა დაუშვა ეს
ვადიდება ბოროტებისა და კოდვისა ქვეყნად,
იკლარა, რომ ადამიანი ადრე თუ გვიან
მოვა გონს, იცნობს მთელ ამოცებას თავის
კოდვიურ მისწრაფებათა, და სულიერის შიმ-
შილით და წყურვილით, თავგამოდებით დაი-
ხვეს უკან დავიწყებულ სიწმიდისაკენ, დაკარგულ
ბრწყინვალე ბედნიერებისაკენ...

ამაირათ, შემდგარი ქვეყანა ძველის
დროიდგან იბრძვის ღვთის საწინააღმდეგოდ
სხა და სხვა სფერებში: ზნეობრივში, მეცნიე-
რებაში, ხელოვნებაში და პრაქტიკულ ცხოვრე-
ბაში... განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ბრძო-
ლა ჩვენს ბნელ, საშინელ დროში, ეგრედ
წოდებულ, „განათლებისა და პროგრესის სა-
უკუნეში“... სული კაცობრიობისა ჩვენს დრო-
ში მიდის სატანის სიმღრმეებამდის, —და გასა-
კვირველი არ არის, რომ მის ცხოვრებაში გა-
მეფებულია ასეთი საშინელება მკვდარის, ცი-
ვის მწუხარებისა, ბოროტებისა და უიმედო
სასოწარკვეთილებისა!... საშინელი სულიერი
ძილით შეწუხებულნი, ადამიანები ხარბად
ჰკრეფავენ „რკობებს“, რომლებითაც იკვებები-
ან ღორები (ტლანქი მატერიალიზმი, რევო-
ლიუცია, ანარქია, გახრწნა ხორცისა და სუ-
ლისა ყველა მხრივ)... ქეშმარიტად „გამარ-
თლებულია სიბრძნე (მიწიური) მისი შვილები-
საგან“...

ეს საშინელი მდგომარეობა თანამედროვე
ქვეყნისა განსაკუთრებით ნათლად ეუბნება
მორწმუნეებს, რამდენათ დამლუბავია არ დამორ-
ჩილება ღვთის ნებისა, კოდვა, განკალკვეება
ღვთის ცხოვრებიდგან, ღვთის წინააღმდეგობა...
თვით ზეცის მტკიცებობათვის ეს ოკეანე ქვეყ-
ნიური ბოროტებისა და ტანჯვა-ვაებისა შეად-
გენს სამოდგრო გაკვეთილს, საუცხოვო შკო-
ლას ღვთაებრივი სიმართლის ქვაზე დამტკიცე-
ბისას... როდესაც უყურებენ წმიდა ზეციურ
სიმაღლიდან, თუ როგორ ამოდ სცდილობს

კოდვილი კაცობრიობა მოაწყოს თავის ბედ-
ნიერება უღვთოდ, შორს მისი წმინდა ნები-
საგან, როდესაც ხედავენ სიბნელეს წარმართე-
ბისას, და საბრალო არარაობას კაცობრიულის
მეცნიერებისას, რომელიც „ნიუთონების“ იქით
ვერაფერსა ხედავს, —ღვთის წმინდანები უფრო
ძლიერ და ძლიერ მტკიცდებიან შეურყვეველ
ერთგულებაში ღვთისა მიმართ, და აღტაცე-
ბით ვალობენ და იტყვიან: „ღიღ და საკვირ-
ველ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო ყოვე-
ლისა მპყრობელო; მართალ და ქეშმარიტებით
არიან გზანი შენნი, მეუფეო წმიდათაო!“...
(გამოცხ. 15, 3).

ღმერთს რა თქმა უნდა, შეეძლო ერთ
წამსაც მოექცია და ეცხოვნებია მთელი
ქვეყნის ხალხი; მაგრამ ეს იქნებოდა ძალადობა,
ძალადობა-კი არ შეშვენის აბსოლიუტურ ქეშ-
მარიტებას, —ამცირებს მას... გარდა ამისა, —
უფალსა ნებაეს არ წაართვას ადამიანს საუკე-
თესო საუნჯე—სულიერი თავისუფლება; ვინა-
იდგან იმან იცის, რომ ბევრი გამოჩნდება კა-
ცობრიობაში მძლე ბოროტებისა და ეშ-
მაკისა, და ისინი თავის დროზე გარდამეტებუ-
ლად „შეავსებენ მართლების რიცხვს“ (გამოცხ.
6, 11).

„აქიმი ახლოს არს. უსამართლო იგი
უსამართლოებდინ ჯერეთ; და შეგნებული იგი
შეიგინებოდენ ჯერეთ; და მართალი სიმართლეს
იქმოდენ ჯერეთ, და წმიდა იგი წმიდა იქმნე-
ბოდენ ჯერეთ. და აჰა, მოვალ ადრე, და სას-
ყიდელი მივაგო საქმეთა მათთაებრ. მე ვარ
ანი და ჰოიე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი
და დასასრული.“ (გამოცხადება, 22, 10—12).

კაცობრიობა ჯერ კიდევ გაცხარებული
ეძებს საშუალებებს და კუთხეებს, სადაც შეი-
ძლებოდეს საზუღამოდ „განშორება“ შემო-
ქმედისაგან... მოვა დღე უფლისა, დიდი და
საშინელი, —და მაშინ ყოველივე ნათლად გა-
მოჩნდება, როგორც ღვთიური დილა... ჰოი,
გვიბატიე, უფალო!...

მლ. იოანე ლუკიანოვი.

რბ დანაძაულობა მიუძღვისთ ქართველ დევნულ ეპისკოპოსებს. **Сп. В. № 152.**

ამ ცოტა ხნის წინეთ გაზ. „ზაკავაზიემ“ (№ 141) ორიოდ სიტყვა სტკვა კირიონ ეპისკოპოსზე შესახებ მისი ნახვისა ქალაქ ხერსონში სტუდენტ ექსკურსანტებისაგან, იმ ეპისკოპოსზე, რომელიც ხმელ პურზე ზის და იტანჯება ჯვარტვირთველ ივერიის ეკლესიის გულისთვის.

ნაციონალისტები, რომლებმაც თავი წამოწყვეს მას შემდეგ, რაც მართებლობას სათავეში ჩაუდგა არა შორს მჭვრეტელი თავის თავზე დიდი აზრის პატრონი და მოკლე შედეგობის მექონე პ. ა. სტოლიპინი, მესაჭეებად ჩაუჯდნენ რუსეთის ხომალდს და მართლმადიდებელი მღვდელმთავრობა და კრებული სახელმწიფოს მოსამსახურებად გადაქციეს.

არავინ არ აკავშირებს ურთიერთშორის ჩვენ „ინოროდცებს“ რუსეთის წინააღმდეგ, ისე, როგორც ნაციონალისტები, — და მოვა დრო, როცა პოლონელები, ფინლიანდელები, ლატიშები, ლიტველები და სხ. თუ მთავრობის სათავეში მოექცენ ან საუკეთესო ადგილები ხელათ იგდეს, გამოაძევებენ რუსებს და არმისცემენ მათ სამსახურს. საერო მთავრობის შესახებ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ სდევნის განაპირა ხალხების პატრიოტებსა არც პოლონეთში, არც საქართველოში და არც სხვაგან, ბრალს არ სდებს მათ სეპარატისტობაში და რუსეთისაგან ჩამოშორების სურვილში. ყველა პატრიოტ-ინოროდცები ზიან თავთავის სამშობლოში, აკეთებენ თავას საქმეს და არავინ არაფერში დაბრკოლებას არ აძლევს. ბედნიერებათ შეიძლება ჩაითვალოს ის ინოროდცები, რომლებიც არამართლმადიდებლნი არიან და სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელი; განსაკუთრებით ბედნიერები არიან სოქებ-გრიგორიანები, რომელთა კათალიკოსს საქართველოს სატახტო ქალაქში პატივსცემს არა თუ მართლმადიდებელი სამღვდლოება რუსის ეპისკოპოსის საშუალებით, არამედ მართლმადიდებელ სამღვდლოების წარმომადგენლნი შეე-

გებენ, და მოკითხეს ახლად ჩამოსული სომხების კათალიკოსი გეორჯ მებუთე.

ვინ მისცა ნება ჩვენ „უწყებას“ ბოროტ-მტრული პოლიტიკა აწარმოვოს ჩვენ მართლმადიდებელ განაპირა ხალხებზე საქართველოში და ბესარაბიაში, საეკვოა, რომ ეს ვინმე იცოდეს.

ეს პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ხალხების ერთი-მეორის გადაკიდებაზე, რუს ხალხის შეგონებაზე, რომ იგი ბატონ-პატრონია ყოველგან (იქაც კი, სადაც იარაღით არაფერი შეუძენია, როგორც საქართველოში და ბესარაბიაში), გაქლენთილია სიძულვილით თავის ერთმორწმუნე ძმებზე. და ყოველივე ეს საერო მართებლობისაგან კი არ გამოდის, არამედ საეკლესიო, სასულიერო მთავრობისაგან, რომლისაგანაც უნდა გამოდიოდეს სიყვარული, მშვიდობა და სიმართლე.

ჩვენმა მმთავრობმა ეკლესიამ თითქო უღალატა მართლმადიდებლობას და შეიქნა ნაციონალისტური ეკლესია, რომლის მოძღვრება სულაც არ ეთანხმება ქრისტე მაქსიმის მოძღვრებას. ჩვენი იერარხები დღეიდგან თითქო ნაციონალისტების წინამძღოლ-ბელადებად გადაიქცა და ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი და ბესარაბიის ეპისკოპოზი სერაფიმე ჩიჩაგოვი უფრო მეტ როლს თამაშობენ, ვიდრე კავკასიის ნამესტნიკი და ბესარაბიის გუბერნატორი. დიდი ხანი არ არის, რაც ბესარაბიაში განდევნეს მოლდაველ სამწყსოს საყვარელი არქიეპისკოპოსი ვლადიმერი და ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი: ორივე კეთილმორწმუნე, უანგარო და სიყვარულით აღსავსე. იგინი განდევნილ იქმნენ ბესარაბიიდან თავის სურვილის წინააღმდეგ ტლანქ ნაციონალისტურ პოლიტიკის მონებით.

სტიროდა სამწყსო, სტიროდენ თვით მწყემსნიც. მაგრამ ჩვენ ნაციონალისტებს ხომ არა აქვთ არც სამართალი და არც სიყვარული ჩვენი „ინოროდცებისადმი“, — როგორც უცხოა მათთვის ქრისტიანულ მოძღვრების დავლებანი.

ეპისკოპოს დავითის წერილი („Сп. В.“ № 141) საუკეთესო მოწმეა იმისი, თუ რა მანებელ და უსამართლო პოლიტიკას აწარმოებენ საქართველოში რუსი ეგზარხოსები. ეგზარხოსებს აგზავნიან არა სამწყსოს გასანათლებლად, არა ძმობის, მშვიდობის და სიყვარულის მქადაგებლათ, არამედ სრულიად წინააღმდეგ. „უმართებულესმა“ (სინოდმა) იცოდა ვის გზავნიდა საქართველოში და ბესარაბიაში. ბესარაბიაში რუსი ეპისკოპოსი მკაცრათ ეკიდება მალდაველ სამღვდელთა, ლოთებსა და გარყვნილებს ეძახის მღვდლებს და თავისი წასული ცხოვრება მოსკოვში კი ავიწყდება. საქართველოში შეურაცხებას აყენებენ არა თუ მხოლოდ მღვდლებს, არამედ ეპისკოპოსებსაც. და ვინ აყენებს მათ შეურაცხებას? ვინ აბრაღის მათ საღვდელთავერო ფიცის დარღვევას და საღვთო კანონების აღსრულებლობას? უცხო ტომის ეგზარხოსი, რომელსაც საღვთო კანონების ძალით უფლება არა აქვს იცხოვროს ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიაში ქართველ ეკლესიის კანონიერ მთავრობის ნებადაურთველად,

ჩვენ ძალიან დაუმაღლებდით უწყებას (სინოდს), რომ იგი „საეკლესიო მაუწყებლებში“, როგორც სინოდის ორგანოში გაგვაგებინებდეს: რათ აღძრა დევნა ქართველ ეპისკოპოსების კირიონისა და დავითის წინააღმდეგ?

მართალია საქართველოს გამარეოლიუციონერებელმა მ. ვოსტორგოვმა განუცხადა სინოდს, რომ ეპ. კირიონი რევოლიუციონერი იყო, მაგრამ თუ ეს ასეა, საჭიროა ეს ვიცოდეთ არა თუ ჩვენ, რუსებმა, არამედ თვით ერთგულ ქვეშევრდომმა ქართველებმა. ამასთანავე ეპისკოპოს რევოლიუციონერს, რომელიც ევედრება სინოდს ათონში გამიშვიტო, იქ წასვლის ნებას არ აძლევენ. იქ მის იმედი ჰქონდა აღედგინა თავის აშლილი (სანაკსარის უდაბნოში ერთი წლის ტყვეობის შემდეგ) ტანმრთელობა, ხელი მოეკიდა ქართულ-ბერძნულ ხელნაწერებისათვის და შეეწირა უკანასკნელი დღენი ცხოვრებისა თვისისანი ღვთის ვედრებისათვის. ამაზედაც კი უარს ეუბნებიან!

ორწლიანხვედრის პენსია დაეკარგა ჰერობილს; რომ თანამემამულენი არ მიშველებოდენ, შიმშილით მოკვდებოდა.

ნ. დურნოვო.

ზ ნ ე მ ბ ა.

(ბ. გამართელის წერილის გამო „ოჯახის ზნეობრივი მხარე“ *).

განათლებულმა და გულისხმიერმა ადამიანმა პირადი გამოცდილებით იცის, რომ თვითვეულ მის აზრს, მის სურვილს და მოქმედებას კვალში უდგია, თვალყურს ადევნებს, ბეჯითად სდარაჯობს, გულდასმით ჰსწონავს და სრული მოურიდებელ-მიუდგომლობით ჰსდებს მათ ასეთს თუ ასეთს შეფასებას უჩინარი მსაჯული, მასში არსებული მბრძანებლობის უფლებებით მოსილი საკუთარი სულიერი ძალა. ყველას გვაქვს გამოცდილი, რომ როგორც აზროვნებისა, ისე ფიზიკური მოქმედების დროს ჩვენი პიროვნება ორმაგდება, რომ ჩვენს არსებაში უპირდაპირდებათ ერთი მეორეს ორი დამოუკიდებელი „მე“, — ერთი მოქმედი და მეორე მის მოქმედებათა შემფასებელი, ერთი ბძანებათა გამცემი და მეორე ამ ბძანებათა მიმღებ-შემსმენი, ან უჩინი და მოწინააღმდეგე, ერთი მუდამ სიმართლისა, სისწორისა, პატიოსანებისა, სიყვარულისა და სინათლის გზის მაჩვენებელი და მეორე თავის ნებაზე მოქმედი, მაგრამ ისე კი, რომ როდესაც იგი, — მოქმედი „მე“, — ისმენს, ღებულობს და მისდევს მეორე „მეს“ რჩევა-დარიგებას, განიცდის მუდამ სულიერ კმაყოფილებას, სიამოვნებას და ნეტარებას, ხოლო როდესაც, წინააღმდეგ ამისა, იგი მიდის თავისი გზით, არაფრად ჩამდები მეორე „მეს“ მოთხოვნილებათა, ყოველთვის რჩება სულიერად ქენჯნილი, წამებული და შერცხვენილი.

ამ უჩინარ მსაჯულს, რომელიც თვალმოუშორებლად სდარაჯობს ადამიანის ყოველ აზრს, სურვილსა და მოქმედებას, რომელსაც მოქმედების შესრულების უმაღლეს გამოაქვს კაცის გულის გამხარებელი ან დამსჯელი და-

*) იხ. „განათლება“, № 5, 1912 წ.

გენილება, იმისდა მიხედვით კეთილი იყო თუ ბოროტი მოქმედება, სახელად ეწოდება **სინილისი**. სინილისი ბერძნული ლექსია და შესდგება ორი სიტყვისაგან, — თანდებულიდან „სინ“, რომელიც უდრის ქართულს „თან“, „ერთ“ და ზმნიდან „ილო“ — ვიცი. საერთოდ აღებული ცნება აღნიშნავს კაცის სულის ისეთ მოქმედებას, რომელიც სწარმოებს მოქმედი პიროვნებისა და უხილავი მსაჯულის შორის, რომლის დამსწრე, მცოდნე და მონაწილე არი — ან ადამიანის არსების ორივე „მე“, მოქმედი პიროვნება და მოქმედების ღირებულობის დამდები სულიერი ძალა.

სინილისი საფუძველი, ქვაკუთხედი, ფესვი და ძირია ზნეობისა. სადაც სინილისი არ ფასობს, იქ წარმოუდგენელია ზნეობა. უსინდისობა სინონიმი უზნეობისა.

სახელ განთქმული და მეცნიერულ ავტორიტეტად ცნობილი ანტროპოლოგი ტეილორი მოგვითხრობს, რომ დღევანდლამდე არ ვიცნობთ დედამიწის ზურგზე იმდენათ ველურ ერს, რომ ასეთი თუ ისეთი წარმოდგენა არა ჰქონდეს ზნეობრივად კეთილსა და ბოროტზე, რომ კეთილი არ მოსწონდეს და ბოროტებას დანაშაულად, მიწიერებად არ სთვლიდესო. მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ასეთი მოწმობა მეცნიერისა. იგი საუკეთესო მარწმუნებელია იმაში, რომ ზნეობა თანდაყოლილი, თანშობილი ძალაა კაცის ბუნებისა.

მაგრამ, შეიძლება, რაც დღევანდლამდე არ გვინახავს და არ გავიგონია, ხვალ ვნახოთ და გავიცნოთ. შესაძლოა მომავალში აღმოჩნდეს სადმე იმდენად მწირი სულიერი განვითარების ველური ერი, რომ საძნელოდ დაგვიჩვენოს მის მოქმედებებში ზნეობის დამახასიათებელ ნიშანთვისებების აღმოჩენა, დადებითი თქმა იმისა, რომ ეს ერი არ არის მოკლებული ზნეობრივად კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭს. მაგრამ რა უნდა დაგვიმტკიცოს ამ გარემოებაში ტეილორის მოწმობა მაინც არ დაჰკარგავს თავის ძალას და მნიშვნელობას. სადამდინაც უნდა წავიდეს ადამიანთა ველურიობა და სულიერი სიმწირე, რამე ჩვეულობათა და ადათებს

რომ არ მისდევდნენ იგინი თავიანთ ცხოვრებაში, ერთი მეორესთან დამოკიდულება-განწყობილებაში და მეზობლობაში ყოვლად წარმოუდგენელი და შეუძლებელია. ჩვეულება კი, მეცნიერი ვუნდტის საბუთიანი შეხედულებით, ველურ ერების ზნეობის გამოხატულება, სარკე და კოდექსია. სინილისი, ეს მაღლიანი მარცვალი, რომელიც ასაზღოებს ზნეობას, თავგადაღული პირობაა კაცის საზოგადოებრივი მდგომარეობისა. სადაც, რამდენადმე მაინც არის, არ იციან პატიოსნების დაცვა, მიცემული სიტყვის გაუტეხელობა, ერთი მეორის ხათრი და თავაზი, იქ შეუძლებელია მოქალაქობა, ჯგუფობრივი, საზოგადოებრივი ცხოვრება. ამიტომ ერის არსებობა, ე. ი. კერძო პიროვნებათა საზოგადოებრივი ცხოვრება უპირველესი საბუთია ერის ზნეობისა, თუ გინდ რომ სულაც არ მოიპოვებოდეს მის ენაში ზნეობის გამოხატველი საკუთარი ლექსი.

ველურ ერებს მომეტებულ ნაწილად ერთნაირად, ერთი მეორის მიმსგავსებულად ესმით კეთილიცა და ბოროტიცა, ერთი და იგივე შეხედულობისანი არიან, ერთი და იგივე სასწორითა სწონავენ და ერთი და იგივე საზომით ზომავენ, რასაც ჩვენ საერთოდ კეთილს და ბოროტს უწოდებთ.

მაგრამ არა, ამაზე მეტი უნდა ვთქვათ.

ზოგიერთ ველურ ერებს ისეთი მაღალი და ნათელი წარმოდგენა აქვთ ზნეობრივი მხრით კეთილისა და ბოროტის შესახებ, რომ კულტურის უმაღლეს ხარისხზე მდგომ ერებსაც არ ჩამორჩებიან. შიში, რომ წერილი არ გავგიჟებდეს, გვაკავებს ნათქვამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითების მოყვანისაგან და ვისაც სურვილი აქვს ამგვარი ფაქტების გაცნობისა, ვურჩევთ მიმართოს 1890 წელში გამოცემულს პროფესორ პეტრის ანტროპოლოგიას.

ყველა ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ველური ერების საქციელები გვეჩვენებია პირდაპირ საზოგადოებად, ზნეობის უარისყოფად და მთლად გაქარწყლებად. მაგრამ სულ ტყუილად ფიქრობენ უარი

ჰყონ ამგვარ შემთხვევათა მიხედვით ის კეშმარიტება, რომ ზნეობა თანდაყოლილი თვისებაა ადამიანის ბუნებისა და არსად უზნეო ვერ არ არსებობს. ტყუილად გადადიან ერთგვარი მიმართულების მწერლები სიმართლის საზღვარს და ამგვარი შემთხვევებიდან გამოჰყავთ ისეთი დასკვნები, რომლებსთინაც იგინი არ იძლევიან არავითარ საქრო მასალას და საბუთს. ერთი რომ საზიზღრობად გვეჩვენებიან ზოგიერთი საქმენი და მოქმედებანი, თორემ მთელი ცხოვრება აღებული ერებისა ყველაფერში ეთანხმება კაცობრიობის საერთო წარმოდგენას ზნეობაზე; მეორე, რომ ჩვენ მხოლოდ გარეგნულად ვსჯით ველური ერების საქციელთა ზნეობრივ ღირებულობაზე, არ ვიცნობთ მათ სოფლმხედველობას, დაკეტილია ჩვენთვის მათი გული, თორემ ზედმიწევნით რომ გვცოდნოდა მათი სულიერი ვითარება, არც მთლად სიმხეცედ გვეჩვენებოდა ზოგ-ზოგი მათი საქციელი და ადვილად მივხვდებოდით ამ პირველი შეხედვით უცნაურ მოქმედებათა გამომწვევ მოტივებს. მაგალითად, ბევრი ველური ერები ხოცავდნენ ავადმყოფებს და უძღურებს; ეს, ჩვენი შეხედულობით, რასაკვირველია, საზიზღრობა და მხეცობაა, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაფერ შუქს ჰფენს საქმეს: ველურები სჩადიან თურმე ასეთ საქმეს უბედურებისადმი გულშემატკივრობისა, დიდი ზრუნვისა, თანაგრძობისა, სიყვარულისა და სიბრალულის გამო, ამ შემთხვევაში ველური ერების გულციობა და მხეცობა თურმე არაფერ შუაში ყოფილა და ჩვენ არ გავგვებია საქმის ნამდვილი ვითარება. ველურ ერებს თავიანთი აუტანელი ცხოვრების სასტიკ პირობათა გამო არ შეეძლოთ თავისთან ეტარებინათ სნეულები და გაეწიათ მათთვის პატრონობა; ცხოვრების უღმობელ პირობათა გამო ყველა უძღურები უნდა დაეტოვებინათ სადმე ტყეში ან ველში ბედის ამარა, აქ ეს უბედურები უნდა გამხდარიყვნენ ან მწარე შიმშილისა, ან ნადირთა მსხვერპლად, ან ტყვეთ ჩაპარდნოდენ ისევე ველურ ერებს. სამივე შემთხვევაში ბედისაგან გაწირულების მდგომარეობა იქნებოდა მეტად მწარე და სამძიმო და ამ

ამიტომ რამდენიმე ბოროტებისაგან ირჩევდნენ უმცირესს და თავიანთი ხელით უსპობდნენ სიცოცხლეს ავადმყოფებს, რომ ამითი აეცილებიათ მათთვის ხანგრძლივი ტანჯვა-წამება, მესამე ის, რომ გადახვევა და სიმახინჯე ყველა სფერაში მოიპოვება, მაგრამ ნორმა მინც ნორმად რჩება. ავილოთ, მაგალითად, ბიოლოგია. ბიოლოგიის საერთო კანონები სრულებითაც არ უქმდებიან იმის გამო, რომ მოიპოვებიან ბიოლოგიურ გადახვევათა მაგალითები და უკმთხვევანი, ესეთივე მსჯელობით უნდა ეხელმძღვანელობდეთ ზნეობის სფერაშიც. ამგვარად დებულება, რომ ზნეობა კაცის ბუნების თანდაყოლილი და თანშობილი თვისებაა, რჩება შეურყეველად და ჯერ-ჯერობით მეცნიერებას მის საწინააღმდეგოდ არა უთქვამს რა ბეჯითად და დამტკიცებით.

საკითხი მხოლოდ იმაშია, საიდგან გაჩნდა ზნეობა, ვინ შეაქსოვა იგი კაცის სულს და რის გამოა, რომ ზნეობის მოთხოვნილებანი სავალდებულოდ მიაჩნია ყველას?

მსოფლიო ისტორიის მოწმობით ყოველი დროის ერებს უტარებიათ წრფელი რწმენა, რომ კაცის ბუნებაში ზნეობრივი ძალის არსებობის მიზეზი თვით უზენაესი ძალაა, ხმა სვინიდიისა ღვთაების ხმაა და ამიტომაცაა, რომ ყველას სავალდებულოდ აღუარებია მისი მოთხოვნილებანი.

ამ საერთო რწმენის სინამდვილეს ამტკიცებენ მრავალი ფილოსოფოსნი. მაგალითად, ძველი დროის ფილოსოფოსთა უკეთილშობილესი მამათმთავარი სოკრატი მსჯელობს, რომ ჩვენთვის სულ გაუგებარი იქნებოდა კაცის ბუნებაში ზნეობრივი ნორმების არსებობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზნეობის სჯულმდებლის არსებობასო. ჩვენი დროის სახელოვანი ბუნებისმეტყველი უოლტესი, არჩევს რა დარვინის თეორიას კაცის წარმოშობის შესახებ, დასძენს: არავითარი საშუალებით არ შეიძლება, თუ არა ღვთის განსაკუთრებითი მოქმედებით, ავხსნათ სვინიდიის არსებობა ადამიანშიო.

ასეთია სალი და კეშმარიტი შეხედულობა ზნეობაზე.

მოვიყვანოთ ახლა ბ. გომართელის აზრი აღებული საგნის შესახებ

„ზნეობა შეიცავს ორ ელემენტს: აზრს და გრძნობასო,“ ბძანებს გომართელი. „გრძნობა მოქმედებს პირდაპირ ადამიანის ნებაზე, აზრი კი მიმართავს გონებას და ამ უკანასკნელს ამოქმედებს ადამიანის ნებაზე.

„ამგვარად ზნეობა წარმოადგენს იმ აზროვნებასა და გრძნობებსო, განაგრძობს გომართელივე, რომლებიც მიმართავენ ადამიანის ნებას კეთილისაყენო“. (განათლება № 5 1912 წელი.)

ადვილი მისახვედრია, რომ ამგვარი განმარტების მიხედვით ზნეობა არაერთად დამოუკიდებელ, განცალკევებულ და თავისუფალ სულიერ ძალას არ წარმოადგენს, იგი შედეგია კაცის აზროვნებისა და გრძნობისა, ზნეობას ჰბადებს თითონ კაცი, მას არაერთადი კავშირი არა აქვს უზუნაეს არსებასთან და უსაფუძლოა, ვითომც იგი (ზნეობა) თანშობილი იყოს კაცის ბუნებისა. როგორც ვხედავთ, ბ. გომართელის განმარტება ზნეობის შესახებ არამტოუ არაფერში არ მოგვაგონებს ჩვენგან ზემოთ მოყვანილ შეხედულებას ზნეობაზე პირ იქით მისი სრული უარის ყოფა იგი.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ „შინაური საქმეებს“ თავისი ხუთი წლის არსებობის განმავლობაში არ დაუტოვებია გაუხილავათ ზნეობა-სარწმუნოების შინაარსის არც ერთი საყურადღებო წერილი გომართელისა და ყოველთვის ამ გარკვევით ნათლად და აშკარად დამტკიცებულა გომართელის ფილოსოფიური განვითარების სილატაკე და უსუსურობა. ამასვე დაგვიმტკიცებს ქვემოთ ნათქვამი.

ფრაზა: „ზნეობა შეიცავს ორ ელემენტს: აზრს და გრძნობასო“, სრული შეცდომაა, მაგრამ დროებით თუ გინდ თვალი დაეხუჭოთ ამაზე და ვიკითხოთ, რატომ მართო ორი ელემენტი გაუმეტებია ბ. გომართელს ზნეობისათვის და არა სამი? თუ კი შესაძლოა, რომ გონება და გრძნობა ვიწროთ ზნეობის ელემენტად, ადამიანის ნებამ რაღა დააშაეა, ნება რომელიღა მოსაზრების ძალით არ იქნა ცნობი-

ლი ზნეობის ერთ-ერთ ელემენტად? ნუ თუ ნება ყოველთვის ყურმოჭრილი ყმა კაცის გონებისა და გრძნობისა? განა ადამიანის ნება კი, როდესაც მოიპრიანებს, არ მოქმედობს კაცის გონებაზე და გრძნობაზე, არ ათამაშებს ხოლმე მათ თავის საკუთარ ფანდურზე? არა, თუ კი შესაძლოა ზნეობის ელემენტად გონებისა და გრძნობის დასახეა, მათთან ერთად ნებაც უსათუოდ ამგვარვე ელემენტად უნდა იქნას ცნობილი. ეს ფსიხოლოგიური სიტხადეა და ამისა ვერ დანახეა შესაძლოა მართოდ მტრო კაცის ფსიხოლოგიური განვითარების სილატაკის გამო.

რომ ზნეობის მოქმედებანი აღბეჭდილი არიან შეგნებით, ეს უცილობელი სიმართლეა, მაგრამ აქედამ დასკვნა, რომ ზნეობას ჰბადებს კაცის გონება, კაცის აზრი და შეგნებაო, მტკნარი სიცრუე და სიყალბეა.

კაცის გონების ძირითადი, არსებითი, ნიშნობლივი და დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ დაგვაჯეროს, დაგვანახოს და გაგვაგებინოს რამდენად აზრიანი ან უსაფუძლო, ბრძნული ან ხეპრული, ხელსაყრელსა ხეირო ან მავნებელსაზარალოა თვითფული მოქმედება, თვითფული ნაბიჯი და მოსაზრება ჩვენი თუ სხვისი. თავისთავად გონებას არავითარი საშუალება არ მოეპოვება სხვა მხრივ და სხვაფრივ შეაფასოს, ასწონოს და განიხილოს ადამიანთა მოქმედებანი. როგორც სიმკვრევე სითხესთვის, ისე უცხო და არა ბუნებრივია ადამიანის გონებისათვის კაცის მოქმედებათა ზნეობრივი შეფასება. ეს რომ ასე არ იყოს, გომართელის მსჯელობა რომ სიმართლეს წარმოადგენდეს, მაშინ სწორეთ ქუაზე შეშლილობა იქნებოდა კაცის მხრივ წინააღმდეგობა და არა განხორციელება ყველაფრისა, რასაც კი გონება დაანახებდა მას სახეიროდ, აზრიანად და მიზანშეწონილად. მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს. ნამდვილათ არა იშვიათად ღიდად სახეირო და ზნეობრივად კეთილ საქციელებს უპირდაპირებთ ერთი მეორეს და ხშირათ შალა ვაყენებთ და უპირატესობას ვაღლევთ და არ გაურბივართ ხოლმე საზიზღრო-

ბას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც გონება ნათლად გვიყენებს თვალ წინ, რა სიმდიდრეს ან წარჩინებას ვკარგავთ ამ საზიზრობის ჩაუდენელობით?

ეს რაა? თვით მოსაზრების პროცესის დროს, იმ დროს, როდესაც გონება ჯერ ისევ მეტადინობს, როგორ გამოვაწყო ესა თუ ის საქმე, რა გადაწყვეტილებას დავადგე, რა ღონისძიებით განვახორციელო ჩემი დადგენილობაო, გვერდში უდგია სენინდისი და სრული მბრძანებლის კილოთი უკარნახებს მას (გონებას): იმოქმედე ისე, რომ ყველაფერში უმეტესად დაიცვა ზნეობის მოთხოვნილებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს შენს მოქმედებას დავგმობ, მწარედ გავკიცხავ, ავაზაკურ და უპატიოსნო აქტად გამოვაცხადებო.

ვინ მსჯელობს ასე გულდასმით? ვის ეკუთვნის ეს ბეჯითი ბძანება? ვისი ხმაა ეს?

ზემოთ იყო ნათქვამი, რომ თავისთავად გონება მოკლებულია ამგვარი მოქმედების უნარს, მას არ მოეპოვება მოქმედებათა ამგვართ შეფასებისათვის საჭირო თვალის და სასწორის, ამ ხასიათის მსჯელობა არ შეადგენს გონების თვისებას, მას არ იძლევა გონების ბუნება. მაშ იქნება ამ ნიქს კაცის გონებაში ჰბადებს გამოცდილება და ბუნებაზე დაკვირვება? არასოდეს. ფიზიკურ ბუნებაში არც ერთი საგანი, არც ერთი მოვლენა და მოქმედება არაა მიმართული ადამიანისადმი ზნეობრივი მხრით; ბუნების ყოველი საგანი და მოვლენა ზნეობრივად არც კეთილია, არც ბოროტი; ჩვენს გონებას, ჩვენს დაკვირვებას და გამოცდილებას თვითყული საგანი და მოვლენა ეჩვენება მხოლოდ ან ცვალებადად, ან უცვლელად და დადგროვილად, ან სარგებლობის შემძენად ჩვენდა, ან ზარალისა და მავნებლობის მომტანად. ეს არის და ეს, ამაზე მეტს კაცის გონება ვერაფერს ვერ ამოაჩენს და ვერაფერს ვერ ამოიკითხავს ბუნების დაკვირვებიდან. ცხადია, მაშასადამე, რომ გომართელის მსჯელობა ზნეობის ვითომდა პირველ ელემენტზე, მოკლებულია ყოველგვარ საბუთიანობას და სადი შე-

ხედულობის კაცისათვის ყოველად შეუწყნარებელია მითი ხელმძღვანელობა.

გრძნობის შესახებაც ამგვარადვე შემცდარი და მეცნიერულ ღირებულობას მოკლებულია ბ. გომართელის თვალთა ხედვის ისარი.

გრძნობის უმთავრესი და სპეციალური ორგანო გულია. ეს მეტად მნიშვნელოვანი ორგანო კაცის არსებისა ისეა მოწყობილი, რომ იგი ერთი მხრით ყოველ შემთხვევაში ეძებს და ეტანება საამო, სამხიარულო, დამატკბო და შვების შემძენ მოვლენებს, მეორე მხრით კი გაურბის და ცეცხლივით ერიდება ყველაფერს, რაც მოკლებულია ჩამოთვლილ თვისებებს. გარნა, მიუხედავად თავისი ასეთი ბუნებისა, ეს გული შუაზე იბობა და გავარვალებული შანთის სიფიცხეს განიცდის ხოლმე, თუ კი რაიმე საშვებელი და დამატკობელი გრძნობის გამოცდით უღალატა ზნეობას, გადალახა მისი კანონი და არაფრად ჩაავლო მისი წინასწარი გაფრთხილება. ბევრჯელ ადამიანი ბევრსაც ცდილობს ილივლიოს სიამოვნების მორევში, არ გაიტაროს გულში არაერთარი დარდი და მწუხარება, მაგრამ ვერა მოუხერხებია-რა მის და უნებურად გულში ანთებული საკირესათვის, ვერ აუცილებია თავიდან ვილაცის უჩინარი ხელით მძიმე ხვედის*) შეუბრალებელი რახუნი. რა აყენებს კაცს ასეთ მძიმე მდგომარეობაში? თუკი, როგორც გომართელი გვარწმუნებს, ზნეობა მართლა შედეგია გონებისა და გრძნობისა, თუკი ნამდვილად გონება და გრძნობა ელემენტებია ზნეობისა, რაღა სტანჯავს და ჰსწვავს ადამიანს? რაღა ათროლვებს მას მის მკვლელი კანისავით? განსაზღვრული საქციელი ხომ გონებისა და გრძნობის დაუკითხავათ არ ჩაუდენია მას, ხომ, გომართელის ტერმინოლოგიით, ამ ორმა ელემენტმა წააქეზა და ხელი შეუწყო კაცს საქციელის ჩადენაში, გონებამ უკარნახა მას, რომ ამ გრძნობის განხორციელება სახიროა შენთვისო და უჩვენა საუცხოვოთ მოფიქრებული გზა მის შესასრულებლად, გრძნობამ ჩასჩურჩულა ამ გრძნო-

*) ხვედი—ხის ურო.

ბის განცდით დასტუბები და შევბას შეენთხვე-
 ვიო და რაღა მიზეზით სტანჯავენ იგინი საბ-
 რალო ადამიანს? ვიღაა ის უჩინარი მსაჯული,
 რომ წუთიერი სიტკბოების განცდას ძიმწარედ
 და გამოუღვეველ ნაღველად უხდის ადამიანს?
 განა აღებული მაგალითები თვალნათლად არ
 ააშკარავენ გომართელის მსჯელობის სიფუ-
 ტუროეს, ჭიანობას და უსუსურობას გრძნობის
 მნიშვნელობის შესახებ ზნეობის საკითხში? გა-
 ნა ნათქვამის შემდეგ ცხადი არა ხდება, ყვე-
 ლასათვის, რომ თავისთავად გრძნობა, რო-
 გორც გონება, ვერავითარი სასწაულებრივი ძა-
 ლით ვერ დაბადებს ზნეობას? გომართელის ფრა-
 ზა: „ზნეობა შეიცავს ორ ელემენტს: აზრს და
 გრძნობასო, ფსიხოლოგიური უაზრობაა. მეტი
 ლაპარაკი ამის შესახებ წყლის ნაყვა იქნება.
 გავეცნოთ ახლა ბ. გომართელის აზრს ზნეო-
 ბის მიზნის შესახებ.

სეფეველი.

ბ ე დ ი ა.

ბედის ბედი არ ეწია ისე, როგორც საზო-
 გადროთ მძელ საქართველოს. იქ, სადაც სასული-
 ერო ცხოვრება დულდა და გადმოდოდა, იქ,
 საიდგანაც ქრისტეს მოძღვრების ნათელი ეფი-
 ნებოდა მთელ ოდიშსა, გურიას და იმერეთს,
 დღეს სიცოცხლე შეწყვეტილია, არე მარე და-
 დუმებულია და აღრინდელ დიდებას მხო-
 ლოდ დიდებული ტაძრის ნანგრევები მოგაგო-
 ნებენ. შესწყდა ტკბილ ხმოვანი ლაღადი ღვთი-
 სადმი და მხოლოდ მუღამ მწუხარე კოტნიღა
 არღვევენ დიდებულ ნანგრევების დუმიღს.
 არა რა არს სამარადისო ქვეყანაზე, ყვეღას
 ეწვეა ბედის ბედი, შეიძლება ჩვენ კი ვერ მო-
 ვესწროთ, მაგრამ ეს სულ ერთია. დაინგრა
 ბედია, მოისპო ქათალიკოსთა კათედრა და
 თან გადაჰყვა აფხაზეთის ქრისტიანობაც.

ეჭვს გარეშეა, რომ აფხაზეთი მთლად
 ქრისტიანე მხარე იყო იმ დროს, წინააღმდეგ
 შემთხვევაში გაუგებარი რჩება აქსათალიკოზო
 კათედრა. დღეს? დღეს ვეღარ იცნობ აფხაზეთს,
 ვერ გაიგებ რა სჯულს ადგია, რა სარწმუნოე-

ბის აღმსარებელია. ხალხი რაღაც რელიგიურ
 განურჩევლობას განიცდის, აფხაზი დღეს რომ
 ქრისტიანია, ხვალ შეიძლება მახმადიანათ
 წარმოგიდგეს, ზეგ ისევ ქრისტიანათ და სხვა.
 ეჭვი არა გვაქვს სხვა სარწმუნოების აღმსარებ-
 ლები რომ ეახლოებოდეს, აფხაზები ამ სარ-
 წმუნოებასაც წაებოტინებინან. ამ შემთხვევაში
 კეშმარიტების ძიებით კი არ ხელმძღვანელობენ,
 არამედ სარგებლობით.—თუ მესხიერება არ
 მღალატობს, ამას წინათ აფხაზებმა მთელი
 სოფლობით მიიღეს მახმადიანობა, რადგან მახ-
 მადიან აფხაზებს საღდათათ არ აწვევდენ.

აფხაზეთის მოქცევას ვერაფერმა უშველა,
 ვერც რუსის მღვდელ-ეპისკოპოსებმა და ვერც
 რუსის მონასტრებმა,—დრანდამ და ათონმა.
 რამდენი დრო გაღის, იმდენი უფრო ეცემა
 ქრისტიანობა, არა თუ ხალხში, არამედ თვით
 სამღვდლოებაშიაც კი. იშვიათი შემთხვევა
 იქნება, რომ მღვდელმა წელიწადში რამოდენ-
 ნიმეჯერ სწიროს. ერთმა პატივეცემულმა იერო-
 დიაკონმა (რომელიც აფხაზეთის ერთ-ერთ
 რუსის მონასტერში მსახურობს) ასეთი საუც-
 ხოვო ამბავი გადმოგვცა: დიმიტრი ეპისკოპოსს,
 თურმე ერთ მოძღვარზე მოახსენეს წირვა-ლოც-
 ვას არ ასრულებსო. მან დაიბარა უღები მღვდე-
 ლი და განუცხადა, ასეთი ხმები დაღის შენზეო.
 მღვდელმა იუცხოვა ასეთი ცილისწამება და თა-
 ვის დამსხვრეული რუსულით მოახსენა ყოღაღა-
 სამღვდლოს: „Какъ не служимъ, Ваше
 П—во, на пасха, на Рождества, иногда
 даже на Троица постоянно служимъ—ო,
 მისმა შეუფებამ თურმე სიცილი ვეღარ შეიკა-
 ვა, იქვე ახლო ოთახში შევარდა და მთელი სა-
 ათი მუცელზე ხელს იკერდა, კინაღამ სიცი-
 ლით გაირღვა. ეს მაგალითი გამონაკლისს არ
 უნდა შეადგენდეს ჩვენი ფიქრით. და სულ ეს
 ხდება მას შემდეგ, რაც რუსის მღვდელ-ეპისკო-
 პოსები შევიდენ აფხაზეთში და დაიწყეს არეუ-
 ლი რუსულ-ქართულ-აფხაზური წირვა ლოცვა.
 ხალხს თუმცა არც ქართული წირვა-ლოცვა ეს-
 მოდა, მაგრამ მიჩვეული იყო, საღეთო მსახუ-
 რების ენათ უყურებდა ქართულ ენას; რადგა-
 ნაც ეს ენა იხმარებოდა თავიდგანვე, ასე თუ

ისე შეჩვეული იყვნენ და ბევრს კიდევ ესმოდა, ამიტომ წირვა-ლოცვაშიაც ხშირათ დაიარებოდნენ, ხოლო ღვდლები ყოველ დაწესებულ დროს წირვა-ლოცვას ასრულებდნენ.

მაგალითზე შორს არ წავალთ: სვანები, რომლებსაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აქვთ, თუმცა ქართული ენა უმეტესმა ნაწილმა არ იცის, მაგრამ საყდარში მაინც ბეჯითად დაიარებიან, ქრისტიანულ მოვალეობას ასრულებენ და ერთხელაც არ უფიქრიათ გამახმადიანება, თუმცა რუსის ჩინოვნიკებმა დიდათ შეაიწროეს ხოლომე იგინი და ბევრჯერ კიდევაც დაარბიეს. ეხლა სინჯეთ და წაართვით მათ ქართული წირვა-ლოცვა, დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, მნათესაც ვეღარ მოიკარებთ ეკლესიაში, არა თუ ხალხს, რომელიც დღეს თანდითან მტკიცდება ქრისტიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული წირვა-ლოცვა აქვთ, ქართული სახარება და სამოციქულო. ხალხს კარგათ ესმის, რომ თავის საყველპურო ენა ოჯახშიდაც ხშირად ვერ აკმაყოფილებს; მხოლოდ უბადრუკ მთავე პატრიოტებს და რუსიფიკატორებს არ ესმის ეს და თავის გზადანეულ ოცნებას სწირავენ ხალხის სულიერ წარმატებას.

ყოვლადსამღვდელო კირონს კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქართული ღვთის მსახურების შემობრუნებით აფხაზები დაუბრუნდებოდნენ ეკლესიას, ამიტომ მან დანიშნისათანავე ქართველი სამღვდელოება მოიწვია თანამშრომელათ, მაგრამ ასეთი საქციელი მას სეპარატიზმათ, სახელმწიფო დამნაშაობათ ჩამოართვეს და გააძევეს არათუ მხოლოდ სოხუმის ეპარქიიდგან, არამედ სრულიად საქართველოდანაც კი. ეკლესიას რომ ავტოკეფალიობა შეჩინდა და დღეს აფხაზეთიც და აქარაც ქრისტიანები იქნებიან, თავისუფალი ეკლესია არ დაჰკარგავდა თავის ღვიძლ შვილებს, საქართველოს ეკლესიას შეეძლო წარმოეშვა კეშმარიტი და თავდადებული მისიონერები და არა ისეთი სახაზინო მუქთამყლაპელები, როგორიც არიან ბ. პლატონოვები და კომპანია. დღესაც აქარა ქართულ თავისუფალ ეკლესიის შვილ

მისიონერებს ელის და, თუ ბედმა გაუღიმა, მალე დაუბრუნდება თავის მამა-პაპურ სარწმუნოებას, რომელიც სავსებით დღესაც არ აქვს დავიწყებული და ხშირათ შესაწირ-საწირავეები მოაქვს მართლმადიდებელ ეკლესიაში. დღესაც მოახერხებდა ქართველი მამულიშვილი თავის ძმების სულიერ დახმარებას, მაგრამ ვინ მისცემს მას ასეთ თავისუფლებას. განა სამისიონერო მიზნით არ ჩაესახლა ყოვლადსამღვდელო დავითი ალავერდში? მერე ვინ დააცალა თავის მოძმეთა შორის ქრისტეს მოძღვრების განმტკიცება? მასაც ეს საქციელი სეპარატიზმათ ჩამოართვეს და, ყოვლადსამღვდელო კირონივით, თლათ გააძევეს სამშობლოდან. იმედია მის მაგიერ ვინმე რუსი დანიშნება ან კიდევ პიროვნება წაშლილი ქართველი და საქმე ისევ პირველყოფილ კალაპოტში ჩადგება: ხალხი ვეღარ იხილავს თავის მწყემსმთავარს ვერ გაიგონებს მის მამაშვილურ ტკილ დედაენაზე მოძღვრება-დარიგებას და ნელნელა მიეცემა სარწმუნოებრივ გულგრილობას...

სოფელი და ინტელიგენცია.

წერილი 1

საქართველოს მკვიდრთა გადამეტებულ ნაწილს გლეხ-კაცობა შეადგენს. ეს გლეხ-კაცობა, შრომის მწარე უღელში გამბული და თავწახრილი, ვერას გზით ვერ ახერხებს თავის თავზე ზრუნვას, სამოქალაქო და საერო საქმეებზე ფიქრს. მისი ყოფა-ცხოვრება და კუთვანება ბნელით არის მოცული. სულის და ხორცის შემხუთველი მწარე ცხოვრება, უვიცობის და იქა აქ ცრუ მორწმუნოების მძიმე უღელი მძიმეთ აწევს კისერზე. საშინელ სილატაკეში ჩავარდნილი ხალხი ზნეობით და გონებით უძლორდება, ჰკარგავს თავის ადამიანურ დანიშნულებას და სრულიად ეხშობა აზრი ცხოვრების გაუმჯობესობისა.

მშრომელ ხალხს არა აქვს ცოდნა და შეძლება, რომ შეგნებულათ გაუძღვეს თავის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას, რომ იმედით შეხედოს მომავალს. ცხოვრების სხვა და სხვა

ულმობელმა პირობებმა ხალხი დაყო რამოდენიმე კლასათ, რომლის უკანასკნელ კიბეზე შრომა და მისი წარმომადგენელი მონები და შემდეგ გლეხ-კაცობა მოაქცია. რომის და საბერძნეთის ცხოვრების პროცესი მონებს აწვა კისერზე. შემდეგ ქრისტიანობის და კულტურის მიზეზით მონათა ინსტიტუტი მოისპო, მაგრამ მათი ადგილი მშრომელ გლეხ-კაცობამ დაიკავა. თუმცა ახლანდელი მშრომელი გლეხ-კაცობის მდგომარეობა — სხვა იურიდულ ფორმაშია ჩამოსხმული, ვინემ ძველ მონათა მდგომარეობა თავისუფლების მხრით, რასაც ხელი შეუწყო კულტურამ და უმაღლესმა მანიფესტმა 1864 წ. გლეხთა ბატონებისაგან განთავისუფლებისამ, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობა ბევრად დაცილებულია თანამედროვე ისტორიულ განვითარების ფაზას და შემადრუწრებულ ღვივში ჩაცვენის საბრალთ ჭევით იყურებიან და შევლას თხოულობენ. გლეხ-კაცობა უმეტრებით საესეა, გონება გაუთლელი, ამაოთ მორწმუნე, საკუთრების მონა და ბუნებით კონსერვატორი. მაგრამ უმთავრესი ფაქტორი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამ უეცი ხალხის ხელით ტრიალობს, რომელიც ღირს შესანიშნავ ფაქტათ უნდა ჩაითვალოს პატრიარქალურ ხანიდგან თანამედროვე ხანამდის. ერის მომავალი წარმატება, მოძრაობა და ბედნიერებაც ამ მშრომელი ხალხის რადიკალურ ფარგლებში ჩაყენებაზედ არის დამყარებული.

ეკონომიურ და ზნეობრივ მხარეზე უძლიერესი და უსაჭიროესი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არა არის რა.

ჩვენი გლეხ-კაცობა მოკლებულია პირველსა და მეორესაც. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა და ვითარება რომ ძრიელ დაქვეითებულია და აუტანელიც ამას ყველა აშკარად გრძობს. მაგრამ რით უნდა შეიცვალოს ძირითადათ ეს არა სასურველი მხარე ცხოვრებისა.

ის ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა დაადგა გვერობიელების გზას, ლიტერატურას დაეტყო ახალი მოძრაობის ელფერი და საწარმოო ძალის განვითარებაც წინ მიდის, მაგრამ სოფ-

ლათ არის რამე ჯერ იმისთანა ცვლილება, რომ ნება გვექნეს ვსთქვათ, პროგრესის გზას ადგია სოფელიო?

ამის თვალსაჩინო ფაქტებს ვერ ვხედავთ — და ამიტომ არც ამის თქმა შეგვიძლია.

სატირალია სწორეთ ის, რომ სოფელი მოკლებულია გულშემატვივარ და მანუგეშებელ ელემენტს. გული გისკდება ადამიანს, როცა ამ გვარ მდგომარეობას საკუთარი თვლით ხედავ, აკვირდები და გულდაღონებული ამბობ: სად არიან ხალხის მოკეთენი? რისთვის არ მოეშველებიან მას, რომ ცოტადენად მაინც გამოაფხიზლონ მიძინებული და მიჩლუნ-გული ხალხის გონება.

ვინ უნდა ესარჩლებოდეს ხალხის შეუარყოფითი ცხოვრების მხარეს? რასაკირველია, გონება გახსნილი მოწინავე ახალგაზდობა, რომელმაც დასტოვა სოფელი, ქალაქში გაიქცა და თბილ ადგილს ეძიებს. გლეხი კაცის სიტყვიარი მას არ სტყივა. ჩვენ დროში ყველა იმას ესარჩლება, იმას ემხრობა, ვინც წარჩინებული და სახელ გათქმულია. მწერლობაც, საზოგადოებაც და კანონიც დაწინაურებულს აწინაურებს, ხოლო წელში გატეხილს უარეს დღეს აყენებს.

რა საშეაღებაა სჭირო, რომ ეს ხალხის აუტანელი ვითარება გამოკეთდეს; ამ საკითხის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთებში აღძრეს სჯა-ბაასი, მაგრამ არსებითათ ეს საკითხი ვერ გამოიკვა.

ჩვენ აწინდელ-მომავალ ცხოვრების ვითარებას მოწინავე ჩვენი ინტელიგენცია რამოდენიმე დასათ გაუყვია. ერთი ნაწილი ჩვენი მწერლობისა იმ აზრისაა, რომ ჩვენი ეკონომიური გაუმჯობესობა და წინ წაწევა შეუძლია მხოლოდ კაპიტალიზმს და მისს ბურჟუას (იხ. „მომამე“ 8 — შინაური მიმოხილვა ნიკოლაძისა); მეორე — დასის წარმომადგენელი ამბობენ, რომ ჩვენთვის კაპიტალიზმი საჭირო არ არისო და არც მოიპოვება პირობები იმის ასაღორძინებლათო (იხ. „ივერია“ №№ 33—34—1895); მესამენი ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი გასაოცარი სისწრაფით იკიდებს ჩვენში ფეხსო

(ბ. ნ. ჟორდანიას). რუსეთის პროგრესული მწერლობაც ამ უკანასკნელი აზრისაა. რუსეთი კაპიტალიზმს გვერდს ვერ აუვლის ეს ფორმა ეკანომიური განწყობილობისა თან და თან ნიადაგს პოულობს ცხოვრებაში.

ამ გვარ მოწინავე ინტელეგენტთა დაქსასვას აქვს, რასაკვირველია, თავის დადებითი მხარე და ღირსება იმ მხრით, რომ საკითხი არსებითათ ყოველი მხრივ ირკვევა და ადამიანს შეეძლება საღი თვალთ შეხედოს ჩვენ მომავალ ერის ვითარებას და გაუმჯობესობას, რასაკვირველია თუ ინტელეგენტის ამ დასისას აქვს დასმული ეს მიზანი; უარყოფითი შავი მხარე კი იმაში გამოიხატვის, თუ ეს წმინდა აზრი ამ უკანასკნელთ გვერდზედ მიატოვეს და მეცნიერული საკითხის ანალიზი პირად ინტერესებში ჩაქსოვეს. საუბედუროთ ჩვენდა, მეცნიერულ გამოკლევას არავითარი ნაყოფი არ მიუძღვის ჩვენ ბედ-შავ ხალხის წინაშე. თუმცა საგნის გამოკვლევა-ძიება არსებითათ კარგია, სპეტაკია, მაგრამ იმ მხრით რომ იგიერის ცხოვრებაში ვერ იღვამს ფეხს—უნაყოფოა. ან კი რითი მოიპოვოს ნიადაგი მან? მოხსენებული მეცნიერული გამოკვლევა ხალხის თანამედროვე განვითარების ფაზას მოცილებულია და მკითხველი უმეცრების ბურუსში შეყავს. უკანასკნელმა არ იცის, რომელ დასის წარმომადგენელს მიეკედლოს და ბოლოს იძულებული ხდება სხვა და სხვა მიზეზებისა გამო იმისკენ გადაუხვიოს, რომელიც ღონიერია მეცნიერული გამოკვლევით და არა ის ჩაიბარხოს გულში, რომელიც თანამედროვე ისტორიულ ეროვნულ ქართველ ერის სულის-კვეთებას შეესაბამება. ამ გვარად ჩვენ წინ იშლება რაღაც შებლონურათ წამოყენებული საკითხები, რომლებიც დოღმატებად არიან მიღებული და რომელნიც ან ცოტათ, ან სულ არ შეესაბამიან ეროვნულ ისტორიულ ცხოვრების პირობებს.

მლ. ნესტორ აბესაძე.

რა ხდება გურიაში?

დღეს ერთმა ჩემმა მეგობარმა, გურიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა, შემოიპირა.

პირველი მოკითხვის შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი გურულებზე, მათ ახლო წარსულზე და დღევანდელ მდგომარეობაზე.

— წარსული რაც იყო, შენც იცი, დაიწყო მეგობარმა, დღეს რა უნდა ხდებოდეს ესეც უნდა იცოდე, თუ დანამდილებით არა, დაახლოებით მაინც, რადგან ნამყო აწმყოს შობელია. რაც დაითესა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს გურიაში, მშვენიერად დაშვებულა და ნაყოფიც შესაფერი მოაქვს: ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, ყაჩაღობა ყოველივე ზნეობისა და სარწმუნოების უარყოფა, აღვირწახნილი თავისუფლება ყველაფერში—ყველა ეს ადამიანური (!) თვისებები ძირელ განმტკიცებულა ამ საოცნებო მხარეში. ეტყობა ბოლომდის შეინარჩუნებს იგი ამ მშვენიერ თვისებებს, რადგან შესაფერ ლიტერატურას ძალზე ეტანება.

— შენ ყოველთვის ზნეობის სასტიკი კრიტიკოსი იყავი, ჩემო მეგობარო, და, როგორც ვამჩნევ, კიდევ არ მოგიშლია. ერთი-ორი მაგალითით ხომ არ გაიზომება მთელი ხალხის ზნეობა?!

— ათმაც, ასმაც და ათასმაც ჭირი მოგქამოს, მაგრამ რის ერთი, რის ათასი? ერთობით კეთილზნობიანი ითვალე, თორემ ავზნიანი? რა შენი საკადრისია! ეს ორი თვეა გურიაში ვმოგზაურობ და ამ ხნის განმავლობაში ერთი კაციც არ მინახავს, რომ ჩვენებურს ლაპარაკობდეს, სულ რაღაც სოციალიზმი აბოდებს, ბებელი, კაუციკი, მარქსი, ენგელსი, ერთობა... მაგრამ როგორი ერთობა იცი? შენიც ჩემი იყოს და ჩემიც ჩემი იყოსო. ვინც ან რაც მომეწონება ყოველივე დაუბრკოლებლად მე უნდა მეკუთვნოდესო, ვისიც უნდა იყოს და ვისაც უნდა ეკუთვნოდესო. სხვამ უნდა იმუშაოს და მე კი ტყუილა ვიჯდე ან ბოლოს ვსცემდეო, ე. ი. სრული თანასწორობა უნდა დავამყაროთო.

— მერე და, ბიჭო, ეგ რა თანასწორობაა—სხვისი შე, ჩემი შე, მე ვიჯდე, შენ იმუშაო, ვინც მომეწონოს, ის ჩემი იყოს—ეს საღური თანასწორობაა?

— ასეთია, თუ დაიჯერებ, გურული და ყოველნაირი კუჭის და თავისუფლების ერთობა, ასე ესმით და ასეც ასრულებენ. რაც ვნახე, მას ვიამბობ უმეტესადაა. ჰო, მართლა, შენ სარწმუნოება გაინტერესებს და ერთ „კურიოზულ“ შემთხვევას გადმოგცემ. ს. ხ—ში ვართ. ღუქნის წინ ვზივართ და ვბაასობთ. ჩვენ შორის ერთა ქართველი მახმადიანიც გვირეფია. ჩვენ პირდაპირ ეკლესია სდგას, როგორც ეტყობა დიდი ხნის მიუხედავად, მიბინძურებული. ჩვენ წინ ვილაც მგზავრმა მოხუცმა გაიარა და ეკლესიას რომ შეხედა, უთუოდ შამორჩომილი ჩვეულობით, პირჯვარი გადაიწერა. ყველამ ყურები სტკვიტა ჩემსა და მახმადიანს გარდა, თითქო უჩვეულო რაღაც მგზავრად დანიშნულს. რა ამბავია? ვიკითხე. აი ვიკითხე, წამოიძახა ერთმა ჩვენმა მეინახეთაგანმა, მეოცე საუკუნეში პიჯვარს იწერს! რაია, რომ გვიქვიცნა ხელი, ვერ გეიარა ჩუმათე?

მე ვსდუმდი, სხვებმა სიცილი დააყარეს მოხუც მგზავრს, რომელიც, თითქოს შერცხვავო, თვალის დახამამებაში მიეფარა ჩვენგან. მახმადიანი აენტო და მიუბრუნდა მას, ვინც მოხუცს ვირი უწოდა:

— სად ნახე შენ, რომ ვირი პიჯვარს იწერდა და ლოცულობდა? წინააღმდეგ სწორეთ ვირი არ იწერს პიჯვარს, მიტომ რომ ვირია და უგნური. ადამიანს, თუ ის ნამდვილად ადამიანია და არა ცხოველი, რამე უნდა სწამდეს და მას ლოცულობდესო.

— რამე მეც მწამს — სვინდისი, პატისნება, გაკუჭდა გურული.

— ეგენი რომ გწამდეს, ხომ არც იმ მოხუცს შეურაცხყოფდიო, დინჯად მოუჭრა მახმადიანმა და გაეშურა ბინისაკენ, რომ საღამოს ლოცვა შეესრულებია.

შენ ყოველთვის იმას მეუბნები მხოლოდ ქრისტიანის არის სასუფეველიო, რათ არ უნდა ცხონდეს, თუ გინდ ეს ხსენებული მახმადიანი, რომელსაც სწამს უჩენაესი არსება და გულით პატისცემს მას?...

მე თავი ჩაეჭკიდე, რაღაც სევდამ შემოპყრო და ათასნაირი ფიქრები ამეშალა, რომ გა-

მოვერკვი, მეგობარი უკვე წასულიყო... ვისი ბრალია?—გამიელვა თავში... მეოთხე საუკუნეიდან მეცხრამეტემდე ქრისტიანები ვიყავით, ჯვარის თავიანთსმცემლები... მეცხრამეტე საუკუნემ დაგვიწმო სასუფეველის კარები, წაგვართვა ქრისტიანობა...

ხელი

წამება

წმიდისა მღვდელმოწამისა ვლასისა.

დიდი ესე და დიდებული მღვდელ-მოწამე ვლასი მსგავსად დიდისა მის იობისა, იყო უმანკო, უბიწო, ქეშმარიტი, ღვთის მსახური, განყენებულ და განშორებულ ყოველისაგან საქმისა ბოროტისა. ამისთვისა განითქვა სახელი მისი ყოველთა მათ სანახებთა კაბადუკისათა და ზრახვა ყვეს ყოველთა მღვდელთ-მოძღვართა, და ერთა მათ მორწმუნეთამან, წარყვანეს ნეტარი იგი და იძულებით დაადგინეს მღვდელთ-მოძღვრად სევასტია ქალაქისა. ხოლო ნეტარი ვლასი იყო ფრიად დაყუდების მოყვარე და წადიერ მარტოდ მყოფობისა. აღვიდა უკვე მთასა ზედა, რომელ არგე ეწოდების. და ჰპოვა ქვაბი მცირე. და დაიმკვიდრა მას შინა რათა მყუდროებით და შეუშფოთებლად აღასრულებდეს ლოცვათა და ვედრებათა მისთა ღვთისა მიმართ უამითი-უამად; მივიდის ქალაქად და მორწმუნენი განამტკიცნის ლოცვითა და სწავლითა და კვალად აღვიდის მთად.

ესრეთ საწადელ იყო ნეტარი ესე არა ხოლო თუ კაცთა, არამედ პირუტყვთაცა, და მხეცთა, ვიდრელა იგინიცა შემოკრებოდენ დღითი დღე წინაშე მისსა და შეუვრდებოდენ ფერხთა მისთა, და არა განეშორებოდენ ვიდრემდის ხელნი დაჰსხნის და კურთხევა მიანიჭის. ხოლო მის თამსა მივიდა სევასტიას მთავარი სახელით აღრიკოლაგოზ, კაცი უსჯულო და კერპთმსახური. განვიდეს უკვე მონადირენი ვინმე ნადირობად და, მიმოვიდოდეს რა მთასა მას, იხილეს კრებული დიდი ნადიროთა და განკვირდეს ხილვად, თუ რამე არს შეკრება იგი მათი. მოიწინეს რა ადვილსა მას, იხილეს წმინ-

და ვლასი, ვითარ განეპყრნეს ხელნი ზეცად და ლოცვიდა და ყოველნი იგი ნადირნი სდგეს გარემოს მისსა განწყობილნი. ვითარცა კაცნი ვინმე გონიერნი და პირმეტყველნი. ესე იხილეს რა მონადირეთა მათ, განკვირდნენ და, მოიქცნენ რა ქალაქად, აუწყეს ყოველივე მთავარსა. ხოლო მან არ უდებ ყო, არამედ მევესეულად წარავლინა მხედარნი მონადირეთა მათთანა და ბრძანა მოყვანება წმიდისა ვლასისი, და უკეთუ სხვანაცა იპოვნენ ქრისტიანენი. მიიწივნეს რა მივლინებულნი იგი პოვნეს წმიდა ვლასი ხელ-განპყრობით მდგომარე ლოცვასა შინა და რქვეს: „გამოველ, კაცო ღვთისაო, გიწოდს შენ მთავარი“.

იხილნა რა იგინი ნეტარმან მან, არა შემფონა, არცა შეშინდა, არცა ყოვლადვე შესწუხნა, არამედ აღივსო სიხარულითა და მხარულითა პირითა პრქვა მათ: „გვალეთ, შეილნო, ზოგად ვიდოდეთ, რამეთუ მომიხსენა მე უფალმან ღმერთმან და ღამესა ამას წოდება ჩემი მაუწყა სახიერმან.“ წარემართნეს უკვე და მივიდეს. ხოლო მისვლასა მას რომელნიცა შეემთხვეოდეს, და რომელნიცა დაშთა შევიდინან; მრავალნი მოიქცევოდეს კერპთ მსახურებისაგან და ქრისტიანე იქნებოდეს.

ხოლო ხილვა ოდენ მისი და სიტყვა კმა იყო შეცთომილთა მოქცევად, და მრავალნი უძღლურნი და ცისად ცისად გვემულნი დასხმითა ხელთა მისთათა განიკურნებოდეს, არა ხოლო თუ კაცნი, არამედ პირუტყვნიცა და საცხოვარნი. შემწუხრდა რა დადგენ, დაბასა ერძისა. ხოლო მახლობელად საენისა მის მათისა ყრმა ვინმე ძე მხოლოდ შობილი დედაკაცისა ქვრივისა ჰამდა თევზსა, და მეყვესეულად ფხა ფიცხელი განეცვა ყიასა მისსა და ვერა რაითა სახითა უძლო ამოდება მისი, და მიიწია იგი სიკვდილად. მიეღო სიტყვა და აღმოხდებოდა სული. ხოლო დედასა მისსა გარემოადგეს საღმობანი სიკვდილისანი, ხედვიდა რა საყვარელისა მისისა შვილისა მეყვესეულად სიკვდილსა, და არა იყო რიცხვი გოდებისა მისისა, მაშინ ესმა რა ნეტარისა ვლასის მოსვლა დაბასა მას, აღითქვა შვილი იგი თვისი და მირ-

ბიოდა მისსა, დააგლო იგი წინაშე ფერხთა მისთა და კრემლითა მხურვალითა ითხოვდა წყალობასა. შეეწყალნეს ღმობიერსა მას მამასა კრემლნი მის ქვრივისანი და ჰკითხვიდა მიზეზსა საღმობისა მისისასა, და ეუწყა რა იგი, მეყვესეულად სახე პატიოსნისა ჯვარისა გამოსახა ყრმასა ზედა, და დასდვა ხელი მისი ყიასა მისსა, აღიხილნა თვალნი თვისნი ზეცად და თქვა: „უფალო ღმერთო, რომელი მარადის ისმენ ლოცვასა მვედრებელთა შენთასა, და შენ მიერსა შეწვენასა მოანიჭებ მათ, შეისმინე აწცა ვედრება ჩემი და ფხა ესე ყრმასა ამისაგან აღმოფხვარ უხილავითა მით ძალითა შენითა, უფალო იესო ქრისტე, და ღვინება მოანიჭე ამას. და ვისცა სადა ამიერიოგან ესე ვითარი რაიმე შეემთხვიოს გინათუ მოხუცებულთა, გინათუ ყრმათა, ანუ თუ პირუტყვთა, და მოიხსენოს ვინმე სახელი ჩემი და თქვას ესრეთ: „ღმერთო, მეოხებითა მონისა ვლასისითა მსწრაფლ მეწიე“, ყავ მისთანა წყალობა შენი და განკურნე საღმობა მისი დიდად დიდებულისა სახელისა შენისათვის“.

ესე რა თქვა, მეყვესეულად ფხა წარმოზნერწყვა ყრმამან და განიკურნა საღმობა მისი, და მახლობელი იგი სიკვდილად, აღსდვა მრთლად და აღივსო სიხარულითა დედა მისი; და ყოველთა რომელთა იხილეს და ესმა, აღიღებდეს ღმერთსა; და განითქმოდა ყოველად საგალობელი სახელი ნეტარისა მის. ხოლო ხვალისა დღე მათ წარემართნეს და მიიწივნეს სხვასა დაბასა და იყო მუნ დედაკაცი გლახაკი და ქვრივი, და არარა აქენდა მას ხვასტავი, გარნა ერთი ხოლო ცხოვარი, — და მას ყამსა ოდენ წარიტაცა იგი მგელმან. — შეემთხვია ქვრივი იგი წმინდასა მას და იკრტინვა ენება იგი, რომელ შეამთხვია მას მგელმან, რამეთუ ქონებითა გლახაკი იყო, არამედ სარწმუნოებითა მდიდარი. განილია ნეტარმან მან და რქვა: „ნუ მწუხარე ხარ, დედაკაცო, მოგეცეს შენ საცხოვარი შენი უვნებლად!“ ესე სიტყვა და წარვლო გზასა მას თავისსა...

ხოლო მგელმან მან, იძულებულმან სიტყვისა მისგან, დაივიწყა ბუნებითი იგი მხეცობა,

მეცხეულად მოიქცა და ცხოვარი იგი უვნებლად მოიყვანა სახლსა მის ქერივისასა, დაუტევა მუნ და ივლტოდა. ხოლო მიიწინეს რა სევასტიას, აუწყეს მთავარსა მოსვლად ეპისკოპოსისა და ბრძანა შეეყვანება მისი დილეგსა¹⁾. ხვალისა დღე დასჯდა იგი საყდართა ზედა და ბრძანა მოყვანება წმინდისა ვლასისა. და ვითარცა წარმოსდგა იგი, სიტყვითა ლიქნისათა იწყო ზრახვად და ჰრქვა მას: „გიხაროდენ ვლასი, მეგობარო ღმერთთაო!“ მიუგო წმინდამან და ჰრქვა მას: „გიხაროდენ შენცა დიდებულიო მთავარო! არამედ გვედრებო, ნუ იტყვი კერბთა ღვთად, არამედ ეშმაკად უწოდდი მათ, რამეთუ იგინი ყოველთა მეგობართა მათ თა საუკუნესა მას ცეცხლსა დაუმკვიდრებენ“. ესე რა თქვა წმიდამან, აღივსო მთავარი იგი გულის წყრომითა და ბრძანა არგნებითა²⁾ დიდებითა გვემა მისი. და მყოვარ-ჟამ სცემდენ რა, ჰრქვა ღირსმან მთავარსა: „უგნურო და მატურო, ჰგონებ შენ ამით სატანჯველითა შეშინებად ჩემდა და სატურისა შენისა რწმუნებად, და არა უწყი, ცოფო და შეცთომილო, რამეთუ ჩემთანა არს უფალი ჩემი იესო ქრისტე, და აღმისუბუქებს ყოველსა ტკივილსა და საღმობასა“. ხოლო შემდგომად ფრიადისა მის გვემისა ბრძანა უსჯულომან მან მთავარმან წარყვანება მისი საპყრობილედ. და იყო ნეტარი იგი შეყენებულ, არცა საზრდელსა ვინ მისცემდა, არცა სასმელსა. მაშინ დედაკაცმან მან ქერიმან, რომლისა ცხოვარი განარინა მგლისაგან წმიდამან ვლასი, ისწავა რა ღვაწლი მისი, მიიღო პური და თესლი მგბარი³⁾, და ხილი და სხვა ესე ვითარი, და სანთელი და საკმეველი, და მივიდა საპყრობილედ და არა შეშინდა უსჯულოთა მათგან, არამედ გონებითა ახოვნითა შევიდა წინაშე წმიდისა ნეტარისა ამის, და შეუერდა ფერხთა მისთა და ევედრებოდა მიღებად საზრდელისა. ხოლო წმიდამან პატივსცა სარწმუნოებასა მისსა, და აკურთხა საქამადი იგი, და მიიღო საზრდელი, და ჰრქვა დედაკაცსა

მას: „მიგეცინ შენ უფალმან, შეილო, სარწმუნოებისამებრ შენისა. ხოლო ამას გამცნებ ესრე სახედ აღასრულებდი წლითი წლად სახსენებელსა ჩემსა, და ვესავ ღმერთსა, რამეთუ არა მოაკლდეს კეთილნი მისნი სახლსა შენსა. და სხვაცა თუ ვინ ჰბაძვიდეს ქველის საქმესა და აღასრულებდეს ღმობიერად სახსენებელსა ჩემსა, უშურველად მოეცეს მას ზეგარდმო კურთხევა“. ესე ვითარი ესე კურთხევა და მცნება მიიღო ღირსმან მან ქერიმან და წარვიდა სახედ თვისად, რათა აღესრულოს ბრძანება იგი მის ზედა საუფლო, ვითარმედ ყოველსა სოფელსა ითქ დის, რომელ ჰყო მაგან სახსენებელად მაგისსა.

ხვალისა დღე კვალად დასჯდა მთავარი იგი ბოროტი საყდართა ზედა და წარმოუდგინეს მას წმიდა ვლასი. მძლავრმან ჰრქვა მას: „უზოროა, ვლასი ღმერთთა, ანუ გნებას ბოროტ წარწყმედად“? მიუგო წმიდამან ვლასი და ჰრქვა მას: „ზორვა კერბთა მცბიერთა, ყრუთა და უტყვეთა ხელითა კაცთათა ქმნულთა, საქმე არს კაცთა ცოდვილთა და სრულიად ცნობამიღებულთა, ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ საქმე ევე ბოროტი“. მაშინ ბრძანა მთავარმან დაკიდება მისი ძელსა და ხვეტა გვერდთა მისთა, ხოლო ნეტარი იგი თავს იღებდა ყოველსავე მოთმინებით გონებითა უშიშითა, ვითარმცა ყოვლადვე არა შეეხებოდეს ტანჯვანი იგი, და მტარვალთა მათ ჰმადლობდა, რამეთუ მომატყეველ ექმნებოდეს გამოუთქმელთა მათ კეთილთა; ამისთვის მძლავრი იგი, რომელი ჰგონებდა მის ტანჯვად, უფროსად თვით იტანჯებოდა ახოვნისა მის ნეტარისა და სიტყვითა მხილებისა მისისათა, ვითარცა საწერტელითა¹⁾ განიგმირებოდა გული მისი. ხოლო სრულიად რა მოუძღურდა ყოველი ღონე მისი, ბრძანა გარდამოხსნა მისი ძელისაგან და წარყვანება საპყრობილედ ნეტარისა მის. და მისვლასა მას მისსა, ნაკადულნი სისხლთანი დიოდეს გვამისაგან მისისა. იყენეს მუნ შვიდნი დედანი მორწმუნენი და ღვთის მსახურნი. მისდევდენ მას და ნაწვეთთა მათ სისხლისა შეკრებდენ, და უსაწადელს

¹⁾ ბნელეთი, საპყრობილე.

²⁾ საბიჯგი ჯოხი.

³⁾ მოხარული.

¹ საჩხელეტილი რამ.

ყოლისა ნელსაცხებელისა იცხებდენ თავთა თვისთა. გარნა მეყვეულად სასყიდელსა სარწმუნოებისა მათისასა მიემთხვივნეს: ექმნა მათ საქმე იგი დასაბამ და მიზეზ წამებისა, რამეთუ იხილეს რა ესე მტარვალთა მათ, შეიპყრნეს იგინი და წარადგინეს წინაშე მთავრისა და აუწყეს, ვითარმედ ქრისტიანენი არიან. მიხედნა მათ მთავარმან და ჰრქვა: „მსწრაფლ თაყვანი ეცით და უზოროთ ღმერთთა“! მიუგებს ღირსთა მათ და ჰრქვეს: „არა ჯერ არს უბანელად ზორვა, არამედ ბრძანე მოცემად ჩვენდა ღმერთთა, რომელთა გვიბრძანებთ ზორვად, რათა წარვიყვანნეთ ტბის პირად და განვიბანნეთ და აღვიმართნეთ მუნ და ჯეროვნად უზოროთ და ძღვენი შევსწიროთ“. სთნდა მთავარსა სიტყვა ესე და მსწრაფლ ქმნა, და მისცნა კერპნი მისნი მსახურთა, და წარავლინნა მათთანა ტბად. მიიხუნეს დედათა მათ მსახურთაგან კერპნი იგი მახლობელად მორცესა ღრმასა და შთასრინეს იგინი სიღრმესა მას წყალთასა, და უჩინო ყვნეს უჩინონი იგი და ბილწნი შურითა საღმრთოთა სავსეთა წმიდათა მათ დედათა. ესერა ეუწყა მძღავრსა მას, აღეტყინა რისხვითა და დაიშხვა მწუხარებითა, იღრქენდა კბილთა და იტყველიდა¹) ხელთა, იძახდა სასტიკად, და ბასრობასა²) მას დედათასა ვერ თავს იდებდა; ღ მსახურთა მათ უთქმიდა ტანჯვასა, რომელთა შეუნდევს დედათა მათ ესრეთ ქმნად. ხოლო იგინი იტყოდენ, გვაცდუნეს ჩვენ და ტყუილითა განგვიცხნეს. წარმოადგინნა ღირსნი იგი და რისხვით ეტყოდა: „ვითარ იკადრეთ ზაკვითა ამისა ქმნად და არა რიდეთ ბასრობასა ჩემსა?“ მიუგეს წმიდათა მათ დედათა: „უკეთუ ღმერთნი იყვნეს, რად დაინთქეს წყალთა მათ შინა, ანუ შენ რად არა გაუწყეს რა იგი შემთხვეოდა“? მაშინ ბრძანა მთავარმან აღგზნება სახმილისა დიდისა, და სავარცხალნი რკინისანი მოატანინა და შეიდინი გრკალნი რკინისანი ცეცხლითა განხურვებული, დადვა ესე ყოველი ერთ კერძო და სხვასა კერძოსა ტილო პირად პირადად კირვებული განფინა და რქვა

¹ ტაშს სცემდა.

² დაკინვასა.

წმიდათა მათ დედათა: „არა ჯერ იყო ყოველადვე კითხვა თქვენი, არამედ უწყალოდ ტანჯვა, გარნა გაჩვენებ სახიერებასა; აჰა ესერა გნებავსთ თუ თაყვანისცემა ღმერთთა აღხედით შევნიერსა მას ტილოსა და ფრიად კეთილი გეყოსთ თქვენ, უკეთუ ესე არა ჰყოთ, ყოველნი ესე ერთ კერძო შეკრებილნი სატანჯველნი თქვენზედა აღესრულნენ. მაშინ ერთმან მათგანმან, რომელი იყო დედა ორთა ყრმათა, აღიტაცა ტილო იგი და შთაავდო სახმილსა მას; რომელი მძღავრმან სახედ საწთროსა ცხოვრებისა განმზადა, საკმლად ცეცხლისა ჰყო გონიერმან მან და საქმით მისცა პასუხი; ვითარმედ შეურაცხ არს მათ წინაშე საწუთრო და საწადელ არს საუკუნო. მაშინ მძღავრმან მან ბრძანა დაკიდება მათი შიშველთა და სავარცხლებითა მით რკინისათა ხვეტა ხორცთა მათთა.—ესერა აღესრულებოდა, სისხლისა წილსდე სდიოდათ, და გვამნი მათნი უსპეტაკნეს თოვლისა იქმნებოდეს, რამეთუ ანგელოზნი ღვთისანი მოვიდეს და წყლულებანი განკურნეს, და სიმხნე მისცეს მათ და ეტყოდეს: „ნუ გეშინინ, არამედ ისწრაფეთ კეთილისა საქმისა, რომელი იწყეთ, აღსრულებად, რათა სასყიდელი სრული მიიღოთ“. ხოლო მძღავრმან ბრძანა გარდამოხსნა მათი ძელთაგან, და შთაბნევა მათი სახმილსა მას შინა ცეცხლისასა. შეითხინეს რა იგინი სახმილად, ანგელოზნი თანა შეპყვნეს და მიმო დაყარეს ალი იგი სახმილისა მის ცეცხლისა, ვითარცა ოდესმე სამთა ყრმათა ზე და წმიდანი იგი დედანი უვნებელად ეგნეს. ხოლო მხეცებრივსა მას სულსა აღრიკოლაეოზისსა არა რწმენა, თუ ძალი ღვთისა იქმს სასწაულთა ამათ, არამედ გრძნებასა სწამებდა ნეტართა და ეტყოდა: „დადაცა თუ სახმილსა მას გრძნებითა თქვენითა მძლე ექმნენით, არამედ უკეთუ არა მერჩდეთ, სხვანი მრავალნი ტანჯვანი მოვაწიენ თქვენზედა.“ მიუგეს ღირსთა მათ და ჰრქვეს: „რა გნებავს, მძღავრო, აღრე ქმენ, ხოლო ჩვენდა შენსა მორჩილებასა და ბრძანებათა შენთა აღსრულებასა, ნუ მოელი, რამეთუ წოდებულ ვართ ჩვენ სასუფეველსა ცათასა. მაშინ უღმრთო იგი განრისხ-

ნა და მისცა განჩინება მახვილითა სიკვდილი მათი. და ვითარცა განიყუნა ადგილსა მას აღსრულებისასა, ითხოვეს დროება ლოცვად და ილოცეს ესრეთ: „რომელმან გამომიყვანენ ჩვენ ბნელისაგან ნათლად, გვედრებით, შენ უფალო, მეუფეო ცათაო! ღირს მყვენ ჩვენცა მიმოხვევად ნაწილსა მას მოწამისა შენისა თეკლასა, და ლოცვითა და მეოხებითა ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა ვლასისითა, რომელ იგი წინამძღვარ გვექმნა გზასა მას წამებისა და ცხოვრებისასა“. რა ილოცეს და განემზადნეს აღსრულებად, ეტყოდეს ორნი იგი ყრმანი დედასა: „აჰა ესერა, დედაო, გვირგვინი შენი მზა არს მეუფისაგან ზეცათასა, ხოლო ჩვენ ნუ დაგვიტეობ სოფელსა ამას შანა, არამედ, ვითარცა მშვენ და აღმზარდენ, ეგრეთ წარმიძღვ ზეცისა სასუფეველსა. მიუგო დედამან და ჰრქვა მათ: „შვილნო ჩემნო, მივედით, ნეტარისა მამისა ჩვენისა ვლასისა და არქეთ: ღმერთ-შემოსილო და ნეტარო მამაო! დედამან ჩვენმან შენდა შემოგვედრნა და გვამცნო არა განშორება შენგან და თქვა: „მისგან ნუ განშორებით და ღმერთი წყალობისა იყვენ თქვენთანა“.

მეყვესულად მტარვალთა მათ წარკვეთნეს თავნი წმიდათა მათ დედათა ღვაწლისა მძღეთანი და შეიწარნეს იგინი ნაყოფად საკვირველისა მღვდელთ-მოდღერისა ვლასისათა შესაწირავ წამებისა, სიქადულ დედათა და სახე ახოვნებისა მოწამეთა.

აღესრულნეს რა წმიდანი იგი მოწამენი, ბრძანა მთავარმან მოყვანება წმიდისა ვლასისი, და წარმოდგა რა ნეტარი იგი, ჰრქვა მას მთავარმან: „ჯერ გიჩინასა ზორვა ღმერთთა, ანუ მასვე განდგომილებასა ზედა ხარ“? მიუგო წმიდამან და ჰრქვა: „უკეთუ არავინ იყოს მსგავსი შენი ბრმა გონებითა, არამედ აქენდენ თვალნი გულისანი განათლებულად, არა თავს იღვას დატევობა ღვთისა და საძაგელთა მავათ თაყვანისცემა! ცუდად უკვე შერები, რომელ ეგე ვითარსა სიტყვასა შეტყვი მე, რამეთუ ჩემი ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი მისთვის სარგებელ არს“. ჰრქვა მას მთავარმან. „აჰა ესე

რა ეზრძანო შთაგდება შენი ტბასა და ვიხილო, უკეთუ გიხსნას შენ სიკუდილისაგან ქრისტემან“. მიუგო ნეტარმან და ჰრქვა მას: „გინა თუ ცეცხლსა მიმცე, გინათუ წყალსა შთამაგდო, ყოველსავე შინა ძალი უფლისა ჩემისა უძღვევლ არს და ბრწყინვალე.“ მაშინ ბრძანა მთავარმან შთაგდება წმინდისა მის ტბასა. წარიყვანეს იგი მტარვალთა. მიჰყვებოდა მთავარიცა იგი ცხენითა და სხვა ერი ფრიადი. ხოლო მიიწინეს რა ტბად, ნეტარმან ვლასი გამოსახა სახე ჯვრისა ტბასა მას ზედა და თავით თვისით შთავიდა ტბასა მას შინა. ვითარ ერთ უტყევან ვილოდა წყალსა მას ზედა, და მიიწია რა, ვინაცა ენება, დასჯდა წყალსა ზედა ვითარცა ხმელსა, და ყოველნი ჰხედვიდეს, ვითარ სჯდა უცთომელად, უშიშრად და უვნებლად. მაშინ ხმა უყო მთავარსა აღრიკოლავოზს: „აწ იხილე, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი ჩემი ხსნად მონისა თვისისა ყოველთაგან განსაცდელთა!. აწ უკეთუ შენთაცა ღმერთთა აქეს ძალი, შემოვედ აქამოდე, ანუ თუ შემოაველინენ საკუთარნი შენნი და დაგიცვენ თქვენ ღმერთთა თქვეთა.“ მაშინ მთავარმან უგნურმან დაუხანა მტარვალთა თვისთა და ჰრქვა: „შევედით სახელითა ღმერთთათა დიოს, და აპოლონ, და პოსიდონ, ზარეკს, დიფესტოს, ირა, და არტემიდა, აფროდიტე, და სხვათა მათ ღმერთთა ყოველთათა, რათა ვერ გვაყვედრებდეს ვლასი.“ და მეყვესულად შეცივივნეს ტბად სამოცდარვა კაცი: და მასვე ეამსა დანთქნა იგინი წყალმან მან და მოიშთენეს ყოველნივე. არა დაშთა არცა ერთი, არამედ შემსგავსებულად უგნურებისა მათისა წარსწყმდენ.

ხოლო ანგელოზი უფლისა გარდამოხდა ზეცით, და მოიკითხა სიხარულით წმიდა აგი და ჰრქვა მას: „გამოვედ და მიიღე განმზადებული შენთვის ქრისტეს მიერი გვირგვინი.“

აღსდგა წმინდა იგი მოწამე და ვითარცა ხმელსა ზედა ვილოდა, და გამოვიდა მიერ ტბით, და გაბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, და დიდება ღვთისა იყო მის ზედა. ჰრქვა მას მთავარმან: „რასა იტყვი, კაცო, სრულიად ურჩ ხარ მონებად ღმერთთა“? მიუგო წმიდამან მო-

წამემან და ჰრქვა: „მე მონა ვარ ქრისტესი და ზორვა ეშმაკთა უკუნასამდე უარ მიყოფიეს.“ მაშინ მთავარმან განჩინება მისცა და სთქვა: „ვლასი, რომელი სრულიად ურჩ ექმნა და ბრძანება კეთისრისა შეურაცხყო, და სამეოცდარვანი მხედარნი წარწყმიდნა, მახვილითა წარეკვეთოს თავი მისი და მისთანამყოფთა მათ ორთა ყრმათა“. ესერა თქვა, წარვიდა სამსჯავროდ, ხოლო წმინდა იგი ვლასი დასდგა ლოცვად და თქვა: „ღმერთო ძალთაო, რომელი ზი ქერობინთა და იდიდები ყოვლისაგან მხედრობისა ანგელოზთასა. რომელმან განანათლენ დაბნელებულნი და მოაქციენ შეცთომილნი, რომელმან ჰყავ ჩემთანა წყალობა და მიხსენ მე ყოვლისაგან საცთურისა, შეიწირე, უფალო, ვედრება ჩემი, და ვინცა სადა გვედრებოდეს შენ და მოიხსენოს სახელი ჩემი, გინა თუ სენითა მძიმითა შეპყრობილ იყოს, ანუ განსაცდელსა მიეცენ, ანუ მწუხარებასა და ჰირსა შინა იყოს, მსწრაფლ ეწიენ მათ წყალობა შენი, და აღუსრულე ვედრება მათი დიდებად დიდად შევნიერებისა მის და ტკბილისა სახელისა შენისათვის.“ ესერა ილოცა ხმა ესმა ზეცით, ვითარმედ ჭეშმარიტად აღსრულება იქმნას თხოვათა შენთა. მაშინ მტარვალმან იწვინა ხრმალი და წარკვეთა თავი ნეტარისა მის, და ორთა მათ ყრმათა ძეთა დედაკაცისა მის მოწამისათა კლდესა მას ზედა პირსა ქალაქისა სევასტიისასა. მაშინ კაცთა ვიეთმე (ღმერთშემოსილთა) ღვთის მსახურთა აღიღეს გვაში მისი და ყრმათა მათ, და ვითარცა ეგულეგობოდა დამარხნეს. ხოლო ამისა შემდგომად, ეუწყა რა დედაკაცსა მას ქერივსა, რომლისა ცხოვარი მგლისაგან იხსნა, არამედ სამარტვილო მშვენიერი აღაშენა, და სახსენებელსა მისსა დიდებით გარდაიხსიდა, რამეთუ ლოცვიითა მისითა საესე იყო სახლი მისი ყოვლითა კეთილითა, და პირველი იგი სიკლახაკე. სიმდიდრედ ცვალებულიყო, რამეთუ არა ცხოვრებასა ამის ხოლო, არამედ შემდგომად სიკვდილისაჲ კეთილის მყოფელ იყო მისდა ნეტარი იგი, უკეთუ ნანდვილ ჯერ არს სიკვდილად წოლვბა აღსრულებისა

მის მოწამეთასა და არა უფროსად დაწყებად დასაბამისა ცხოვრებისა წარუვალისა.

მიერიდგან ისწავეს მეგობართა მის დედაკაცისათა და თვისთა აღსრულებად სახსენებელისა ნეტარისა ვლასისა, და დაიწესეს ესე შემდგომითი შემდგომად ჩვეულებასა მას ზედა ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

ლოთობა.¹⁾

ვენახზე და მისგან გამოსულ სასმელ ღვინოზე დაკულია ერთი ლეგენდა აბელის დროიდან. ადამის შვილმა აბელმა, ცხერის მწყემსმა, შენიშნა, რომ, როდესაც საღამოზე საბაღახოდან ბრუნდებოდნენ მისი ცხვრები, ერთი ცხვარი ყოველთვის ჩამორჩებოდა დანარჩენებს, უკან მისდევდა მათ და თან კენტრიშით მიდიოდა, ხალისიანად იყო. აბელი დაუკვირდა იმის ასე დაგვიანებას, და ასეთი ხალისით სიარულს. ნახა, რომ ამ ცხვარს დანიშნული ჰქონია ერთი ბუჩქი, რომელიც ვენახი გამოდგა, მასზე გამოსხმულ მწიფე მტევნებს ცხვარი სჭამდა და თვრებოდა. აქედან აშკარა შეიქმნა, რომ მიზეზი იმის ჩამორჩენისა და მხიარულებისა ყოფილა ყურძნის ჭამა. ადამიანი აქედამ ხმარობს ყურძენს, რომლის წვენი ამხიარულებს და მერე ათრობს მას.

ყურძნიდან გამოდის წვენი. ათას გრამ ღვინის წვენში 800—900 წყალია, 50—150 მათრობელი, (ალკოგოლი), გლიცერინი, დანარჩენი კი, შაქარი, სიმეფე და სხვა ნივთიერებანი. ღვინიდან იხდება არაყი არაყს მიიღებენ ქაჭიდან, პურიდან, ხილიდან და სხვადასხვა ჭირნახულიდან. გარდა ამისა ხლიან სხვა და სხვა სპირტნარევე სასმელებს, კონიაკს, ლიქორს, და სხვას. ებრაელები, ძველ აღთქმაში, ღვინოს ხმარობდნენ ყოველ ჭამის დროს, ინჯრაზე და განსაკუთრებით კი რაიმე დღესასწაულობის დროს. დაბადება ღვინოს აქებს, როგორც გულის გამამხიარულებელსაშვალებას. „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“, ამბობს მგოსანი და წინასწარმეტყველი დავითი. ცოტა ღვინოს დაღვევა წამალი იყო. თუმცა დიდს მნიშვნელობას აძლენდენ მას ებრაელები, როგორც სუსთათვის გასამაგრებელ სასმელს, მაგრამ უზომოთ მისი ხმარება ყველასათვის აღკრძალული იყო. დაბადებაში მოხსენებულია ბევრგან, თუ რა სავალალო შედეგი მოსდევს ბევრი ღვინის

¹⁾ იხ. „ზინაური საქმეები“ № 26—27.

სმას. ურჩი შვილი ემსგავსება მთვრალს. „სქამს და სვამს მემთვრალეთათანაო“, სწერია იქა. მღვდელთათვის ღვინის სმის შესახებ ცალკე წესდება იყო დაწერილი, მათთვის სავადებულ-ლო.

ახალ აღთქმაშიაც დიდი ყურადღება იყო მიქცეული ღვინოზე. თვით იესო ქრისტემ, რომელიც იყო კანას გალილიაში ქორწილში, როდესაც შემოაკლდათ ღვინო, წყალი აქცია ღვინოთ. იგი თავის თავს ადარებდა ვაზსა და მასზე გამოსულ რტოებს თვის მოციქულებს; ღვინო შეედარა თავის სისხლს და აქედამ დაარსა საიდუმლო ზიარებისა. მათე მახარებელი ასე მოგვითხრობს ღვინოზე: „არაცა შთაასხიან ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განსქდეს თხიერნი და ღვინო დაითხიოს და თხიერნი წარწყმდენ“. პავლე მოციქული უკრძალავს ყველას უზომო ღვინის სმას და ამბობს: „ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე“.

რომაელები და ბერძნები ღვინოში წყალს ურევდენ. გარდა ბუნებითის ღვინისა ურიებს ჰქონდათ ღვინო „შაქარა“, ხელოვნურად გაკეთებული; ამზადებდენ ღვინოს აგრეთვე მცენარე ფენიქსიდან, ვაშლიდან და თაფლიდან. კერძო-თავყანის მცემლები ღვინოს სწირავდენ ცრუ ღმერთებს, კერპებს; გამოიგონეს ღმერთი ღვინისა და მხიარულებისა. ცეკვის დროს, გასართობად დღესასწაულზე, წლის ღირს-შესანიშნავ, განსაკუთრებულ დროებში, ზედმეტ ღვინოს სვამდენ, რომ გამოიჩინათ სახელი წრეს გადასული უსაქიელობით და ცუდის ყოფი-ქცევით, ზნეობრივად თავის დასამახინჯებლად. ძველადვე ღვინოში ურევდენ გარდა წყლისა სხვადასხვა ნივთიერებას სუნის, სიმაგრის და გემოს მისაცემად. — განკიცხულს, როგორც მოგვითხრობს ფარარი, — გააკრავდენ თუ არა ჯვარზე, ასმევდენ ღვინოს, აღზავებულს ძლიერ გამაბრუებელ წამალში. ამ გამაბრუებელ სასმელს ამზადებდენ იერუსალიმში მდიდარი ქალები თავის ხარჯით და აძლევდენ მას ყველა დასასჯელად გამზადებულს პირებს, ვინც უნდა ყოფილიყო და რაც უნდა დაშინაშევე ყოფილიყო იგი. ეს სასმელი უთუოდ სიამოვნებით მიიღეს ქრისტეს იქით — აქეთ ჯვარცმულმა ავაზაკებმა, მგრამ როცა მიუტანეს იესოს, მან არ მიიღო იგი. ასეთი უარის ყოფა არა ჩვეულებრივი გმირობის დამამტკიცებელი იყო. სასმელის დანიშნულება ის იყო, რომ მოედუნებია ძარღვები, დაეზნელებია გონება და არ ეგრძობი-

ნებია მცირედი ნაწილი მაინც ტანჯვისა. ასეთ ღვინოს ურიები უწოდებდენ „ესმარასინოს“, ღვინოს რომ წამლათ ხმარობდენ, ეს იქედამ სჩანს, რომ იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმულ „მოწყალე სამარტელის“ იგავში მოთხრობილია შემდეგი: სამარტელმა, ავაზაკისაგან ნაცემ დაავადებულ და უპატრონოდ ქუჩაში დაგდებულ ურიას დაწყლულებულ სხეულზე დაასხა ღვინო და ზეთი. მამასადამე იგი წამალი ყოფილა წყლულის დასაამებლად.

ჩვენს ქვეყანაში, — საქართველოში, — ხომ, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ღვინოს კაი ხნიდამ ხმარობდენ. ცნობილია ისტორიიდან, როდესაც საქართველოში წამოვიდა წმიდა ნინო ქრისტეს სწავლის გასავრცელებლად, სწუხდა, როგორც სუსტი ქმნილება, ქალი, რომ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი შეხვდებოდა ამ დიდი მისიის აღსრულების დროს და ამისთანა ფიქრით მოცულს, ერთ ბუჩქის ძირს მიეძინა. მას გამოეცხადა ძილში ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი ქალწული მარიამი გაამხნევა იგი და მის ნიშნად მისცა ჯვარი ვაზისა, რომელსაც ნინომ შემოახვია თავისი თმა და ყველგან თან ატარებდა. ეს დიდებული ნაშთი, ქრისტიანობის გავრცელების ნიშანი ივერიაში, — დღეს ინახება ტფილისის სიონის ტაძარში. ეს იყო 4 საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ. ჩვენში იმდენად გავრცელებული იყო ძველად მევენახობა-მეღვინობა, რომ ვენახისაგან ამზადებდენ საშენ მასალას; მაგალითად, მონასტერ — ეკლესიების კარები ხშირად კეთდებოდა ვაზისაგან. დღესაც შენახულია მღვიმეს დედათა მონასტრის, — ქიათურაში, — ვაზის წყვილი კარები, რომლის სიდიდე და თვისება აკვირებს მნახველს. საქართველოში ღვინოს ყოველდროს ხმარობდენ: დღეობებში, ნათვლა-ქორწილსა და ხადილობაში. ღვინო ისმოდა კათხით, ჯიხვით, სარიოშით, ყანწით, აზარტაშით და სხვა და სხვა სასმისებით. სიდიდე და წყევა ამ ზემოხსენებული ღვინის სასმელი ქუროქლისა ხომ ყველას აოცებს დღესაც! დიდ ქურობებში და ქვევრებში ჩადიოდა რამოდენიმე ასი კოკა ღვინო. ჩვენში ვენახს ხელს უწყობდა ნიადაგი და მშვენიერი ჰავა. კახეთში, ივრის და ალაზნის ხეობებში ღვინო წყალსავით მოსდიოდათ, დასავლეთ საქართველოში ხომ მაღლარი ტყესავით იდგა. უზომო ღვინის სმა კანონით ჩვენშიაც აკრძალული იყო. საეკო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მეფე დავით მ აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრე-

ბაზე ლენის სმა უკანონო საქციელად მიიჩნია და აკრძალა მისი ზომავზე მეტი სმა. დღეს რა მდგომარეობაშია მევენახობა-მელენეობა ჩვენში ეს ყველასვის თვალ-საჩინოა და ამის მეტი ახსნა-განმარტება აღარ, სჭირია.

ლენის სმა აღმოსავლეთის ქვეყნის ხალხში ძრიელ ვავრცელებული ყოფილა. მხოლოდ მაჰმადმა სასტიკათ აუკრძალა მაჰმადიანებს ლენო, რის გამო თათრები სრულიად არა სმენ ლენოს; ლენის მაგიერ მაჰმადი ნებას აძლევს ტკბილი სასმელის ეგრედ წოდებულის „შარბათის“ მიღებას. შარბათშიაც ურევია მათრობელა (აღკოვროლი).

მღვ. კ. ანთაძე შემდეგი იქნება.

დავით ეპისკოპოსის

ჩამოგზავნება პიატიგორსკში.

ეპისკოპოსს დავითს დიდებულათ დაუხვდა თავისი ახალი სამწყსო. მინერალურ წყლების სადგურზე თავის ახალ მწყემსთ—მთავარს დახვდა სამღვდლოება. პიატიგორსკის სადგურზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი მღვდელ-მთავრის დასახვედრად. აქ იყო პიატიგორსკის მთელი ადმინისტრაცია და ქალაქის თავმა ბ. ნიკოლენკომ პურ-მარილი მიართვა მათ მეუფებას და მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სადგურიდან მათი მეუფება ეტლით გაემართა პიატიგორსკის საკრებულო ტაძარში. გზაში ჯარები და მოსწავლენი თავიანთი მასწავლებლებით იყვნენ ჩამწყვრივებულნი. სამხედრო მუსიკა „კოლ სლავენს“ უკრავდა. ტაძრიდან სამღვდლოება ჯვრითა და ხატებით გამოეგება მათ მეუფებას. ტაძრის შესავალში პურ—მარილი მიართვა ბატ. გრომევი. ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ზაქევემა გრძობიერი სიტყვით მიმართა მათ მეუფებას. პარაკლისის გარდახდის შემდეგ მათმა მეუფებამ ეპისკოპოსმა დავითმა სიტყვა წარმოსთქვა, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მის ახალ სამწყსოზე.

მინერალურ წყლების ადმინისტრაციის თხოვნით ეპისკოპოსმა დავითმა პარაკლისის გარდახდა პიატიგორსკის პარკში სამკურნალო სეზონის გახსნის წინ.

პარაკლისის წინ მისმა მეუფებამ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მშვენიერად დაასურათ—ხატა გაზაფხული და ბუნება, მნიშვნელობა ბუნებისა ადამიანისთვის და შემდეგ მსმენელთა ყურადღება მიაქცია საუკუნო სანეტარო ცხოვრებისადმი. ამ სიტყვამ ძრიელ დიდი გავლენა იქონია მსმენელებზე. ადგილო-

ბრივი სამღვდილოება აღტაცებულია ეპისკოპოსი დავითის მშვიდი და წყნარი ცხოვრებით, სათნოიანი ხასიათით და მოსიყვარულე ადამიანური მოპყრობით.

ბათიაშვილი.



ქალაქ სამარას მახლობლად 26 ივლისს გადაიკვალა საავარაკოთ მყოფი პროფესორი ალექსანდრე სოლომონისძე ხახანაშვილი. განსვენებული იყო გორის მაზრიდან ღვდლის შვილი. დაიბადა 1866 წ. თბილისის გემნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1888 წ. ლაზარევის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტში პროფესორობის ადგილის დაკავების შემდეგ იწყება მისი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ უკანასკნელ დროს. ლაზარევის ინსტიტუტში იგი კითხულობდა ლექციებს ქართულ ენისა და ლიტერატურის შესახებ, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის შესახებ. ჯერ კიდევ სტუდენტობაში მდელით იქმნა დაჯილდოებული თხუზულებისათვის „ბიზანტიის საზოგადოება და საბერძნეთის ეკლესია კომენტების დროს“. განსაკუთრებით სახელი გაითქვა განსვენებულმა თავის თხუზულებით: „Очерки по истории груз. словесности, რომელიც ოთხტომად გამოვიდა ერთ და იმავე დროს რუსულ და ფრანგულ ენაზე. ამას გარდა სხვაც ზევრი რამ აქვს ნაწერი განსვენებულს საქართველოს ისტორიიდან და არქეოლოგიიდან. უმაღლესი და უღიადესი თვისება, რომელიც ყველაზე უფრო ამშვენებდა განსვენებულის პირადობას, იყო მისი უზომო სიყვარული მამულისადმი და ღრმა სარწმუნოება და სიყვარული მამაპაპათა ნაშრომ-ნაღვაწისადმი. გარდა უანგარო სამსახურისა, მან 45 ათასი მანეთი უანდერძა თავის საყვარელ მამულს ხალხში წერა-კითხვის გასავრცელებლად. ქეშმარიტად მისაბაძი მაგალითია და ღირს სახსოვარი თვით ამ მაგალითის მომცემი ალექსანდრე სოლომონისძე!

სამარადისო მისაბაძ მაგალითად იყოს უკვდავი მისი სახელი ჩვენ შვილთა შვილიშვილებისათვის! თუმცა ამ უკანასკნელ დროს თითქო განგებ ერთი მეორეზე მიეწყვენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, მაგრამ ვესავთ ღვთის მშობელს, რომ თავის წიხლდომილ საქართველოს იგი არ გამოუღვეს მათთანა თავდადებულ მამულიშვილებს.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მავლიძე. გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ქ. ქუთაისში სტამბა ძმობისა კახაკოვის შესახვევში სახლი №17.